# მუსიკა

სახელმძღვანელო

7







# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,*
*sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



# ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ოქტაი რაჯაბოვი, ნაზიმ ქაზიმოვი,
ეგანა ახუნდოვა,ოფელია იმანოვა

# მუსიკა 7

**სახელმძღვანელო**

*საერთო - საგანმანათლებლო სკოლების
მე-7 კლასისათვის*

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები, შენიშვნები
და წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ
მისამართზე: tahsil_az@yahoo.com და derslik@edu.gov.az
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

ბაქო -2017

## შინაარსი

### მუსიკალური სახე

**თემა 1.** მუსიკალური სახე და ხასიათი ..............................................8
**თემა 2.** მუსიკალური სახე და ხასიათი ............................................10
**თემა 3.** დრამატული წარმოდგენა და მუსიკალური სახე ..............12
**თემა 4.** ოპერეტა და მუსიკალური სახე ............................................14
**თემა 5.** სივრცის (ადგილის) სახე აზერბაიჯანულ სიმღერებში.....16
**თემა 6.** მუსიკალური სახეები რუსი დ აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში........................................18
**თემა 7.** მუსიკალური სახეები აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვებში ...........................................................................................20
**თემა 8.** განვლილი თემების განმეორება ..........................................22

### მუსიკალური სახე(გაგრძელება)

**თემა 9.** იავნანას მელოდიები კომპოზიტორების სიმღერებში.......24
**თემა 10.** ძილისპირული სიმღერები ხალხურ მუსიკაში .................26
**თემა 11.** პროგრამული მუსიკა და მუსიკალური სახე ....................28
**თემა 12.** მინიატურა და მუსიკალური სახე.......................................30
**თემა 13-14.** განვლილი თემების განმეორება.მომზადება საკლასო კონცერტისათვის .............................................32

### მუსიკალური დრამატურგია

**თემა 15.** ყარა ყარაევის ბალეტის „შვიდი მზეთუნახავის" დრამატურგია ...........................................................................34
**თემა 16.** დრამატურგია არიფ მელიქოვის ბალეტისა „ლეგენდა სიყვარულზე"........................................................36
**თემა 17.** ორატორია და დრამატურგია ..............................................38
**თემა 18.** დრამატურგია აშრაფ აბასოვის ბალეტისა „შავტუხა" ......40
**თემა 19.** მუსლიმ მაგომაევის ოპერის „შაჰი ისმაილის" დრამატურგია ............................................................................42
**თემა 20.** აფრასიაბ ბადალბეილის ბალეტის „ქალწულის კოშკის" დრამატურგია ........................................................44
**თემა 21.** მუსა მირზოევის „რომანტიკული ვალსი-პოემის" და იოჰან შტრაუსის „ვენის ტყის ზღაპრების" დრამატურგია ............................................................................46
**თემა 22-23.** განვლილი თემების განმეორება ...................................48

### მუსიკალური დრამატურგია(გაგრძელება)

**თემა 24.** სამშობლოს თემა და მუსიკა..........................................50
**თემა 25.** დრამატურგია ფიქრათ ამიროვის ოპერისა „სევილი“ .....52
**თემა 26.** კავშირი ორ მუსიკალურ ნაწარმოებს შორის:
„დილბერის სიმღერა“ ფიქრათ ამიროვის ოპერიდან
„სევილი“ და „ჰაბანერა“ ჟორჟ ბიზეს ოპერიდან
„კარმენი“ ......................................................................54
**თემა 27.** დიდი სამამულო ომის სახე მუსიკაში................................56
**თემა 28.** დრამატურგია  ჯოვდათ გაჯიევის სიმფონიური
პოემისა „მშვიდობისათვის“ ................................................58
**თემა 29.** მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტის“ და ყარა
ყარაევის ამავე სახელწოდების მუსიკალური
გრავიურების დრამატურგია..............................................60
**თემა 30.** რესპუბლიკის დღე..........................................................62
**თემა 31.** განვლილი თემების განმეორება.........................................64
**თემა 32.** მომზადება საკლასო კონცერტისათვის .............................65
სასიმღერო რეპერტუარი ......................................................................66
დამატებითი რეპერტუარი საკლასო და სასკოლო
კონცერტებისათვის ............................................................................79
ლიტერატურა......................................................................................95

## პირობითი აღნიშვნები

| | |
|---|---|
| | კითხვები |
| | დავალება |
| | ეს უნდა იცოდეთ |

# მუსიკალური სახე



თემა 1

## მუსიკალური სახე და ხასიათი

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**უზეირ ჰაჯიბეილი. ქოროღლისა და ჰასან ხანის არიები ოპერიდან „ქოროღლი“**



უზეირ ჰაჯიბეილი



ქოროღლის სახე ოპერიდან „ქოროღლი“



ჰასან ხანის სახე ოპერიდან „ქოროღლი“

**ორი მუსიკალური ნაწარმოების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები**

*ქოროღლის არია*

*1. სრულდება სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.*
*2. ორივე მუსიკალური ნაწარმოები წარმოადგენს არიას.*

*ჰასან ხანის არია*




ქოროღლი სახალხო გმირია, აჯანყების უშიშარი, მამაცი მეთაური, რომელმაც ხალხი იხსნა ხანებისა და ფაშების ჩაგვრისაგან. ამასთან, სახალხო მომღერალი მის ხასიათში წინ სწევს სულიერებას, მებრძოლ ბუნებასა და გულწრფელობას. ქოროღლისათვის დამახასიათებელია უდრეკი ნებისყოფა, სულის სიძლიერე, მაღალი ზნეობრიობა.

ჰასან ხანი ნიმუშია მბრძანებელი, დესპოტი ადამიანისა, რომელიც ძარცვავს ხალხს, ართმევს ქონებას.ჰასან ხანის ხასიათში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სისასტიკე, სიხარბე, მრისხანება. იგი შეუბრალებლად ჩაგრავს ხალხს, ითვისებს მთელ მათ ქონებას.

სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში სახასიათო სახეთა შექმნისათვის კომპოზიტორი იყენებს მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებების ფართო შესაძლებლობებს - დინამიურ ნიუანსებს, ტემბრს, მელოდიას, ჰარმონიასა და პოლიფონიას. სწორედ ამ საშუალებებით იქმნება სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური სახეები.

ოპერაში „ქოროღლი“, რომელიც უზეირ ჰაჯიბეილის შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს, ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ხასიათის მუსიკალურ სახეებს. ოპერაში სრულყოფილად და დიდი ოსტატობითაა ნაჩვენები ხალხის სახე,გულისწყრომა აჯანყებული, მებრძოლ მასად გარდაქმნილი ხალხისა. ამ მუსიკალურ ნაწარმოებში თითოეული პერსონაჟი – ქოროღლი, ჰასან ხანი, ნიგიარი, ქაჩალი (მელოტი) ჰამზა და სხვ. - განუმეორებელი ხასიათების მატარებელნი არიან.

*შევასრულოთ სიმღერა სიტყვებისა და ნოტების მიხედვით*

**აზერბაიჯანი**

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი.*




სიმღერა სრულდება მარშის ტემპში, ტონალობა ფა-მაჟორში. სიმღერის კუპლეტი სრულდება ერთი მოსწავლის მიერ სოლოს სახით, ხოლო მისამღერი – ორ-სამხმიანი გუნდის მიერ. სიმღერაში მშობლიური აზერბაიჯანის ხატება გადმოცემულია საზეიმო ხასიათის მუსიკის საშუალებით.

**კითხვები**

1. რა ჰქვია ქოროღლის ხმას ოპერაში „ქოროღლი“?
2. რა ჰქვია ჰასან ხანის ხმას ოპერაში „ქოროღლი“?
3. როგორი ხასიათისაა ქოროღლისა და ჰასან ხანის სახეები?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ოპერა „ქოროღლის“ შესახებ.

თემა 2

## ცვლილებანი მუსიკალურ სახეთა ხასიათებში

### *მოვუსმინოთ მუსიკას*



*ფრანც შუბერტი*

**ფრანც შუბერტი. სიმღერა-ბალადა „ტყის მეფე“.**

ბალადამ „ტყის მეფე“, რომელიც ი. ვ. გოეთემ 1782 წელს დაწერა, მრავალი კომპოზიტორის ყურადღება მიიქცია. ყველაზე წარმატებული კომპოზიცია, რომელიც ამ ბალადის ტექსტზე შეიქმნა, ეკუთვნის ფრანც შუბერტს, რომელიც მან 1815 წელს შექმნა. ამ დროს კომპოზიტორი 18 წლისა იყო.



*იოჰან ვოლფგანგ გოეთე*

სიმღერა-ბალადა „ტყის მეფე“ ერთი მომღერლის მიერ სრულდება. მაგრამ ნაწარმოების ყოველი პერსონაჟი – ავტორი, მამა, მომაკვდავი ვაჟი და ტყის მეფე – სხვადასხვა ხასიათის მატარებელნი არიან. ე. ი. ერთი შემსრულებელი ერთი ნაწარმოების ფარგლებში ქმნის ოთხი სახის მუსიკალურ ხასიათს.

*ეს უნდა იცოდეთ*

დიდმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა ფრანც შუბერტმა, რომელმაც მხოლოდ 31 წელი იცოცხლა, შექმნა ექვსასზე მეტი სიმღერა, ცხრა სიმფონია, მნიშვნელოვანი რაოდენობის ინსტრუმენტული ნაწარმოებები.

სიმღერა-ბალადაში „ტყის მეფე“ მოქმედებენ შემდეგი რეალური და არარეალური პერსონაჟები:

ავტორი → მამა → ვაჟი → ტყის მეფე (სიკვდილი)

ნაწარმოები ფორტეპიანოს თანხლებით სრულდება.

პერსონაჟთა დაძაბულობას ამძაფრებს განუწყვეტელი საფორტეპიანო თანხლება. ავტორის, მამისა და მისი ვაჟის სახეები ახლოს დგანან როგორც ინტონაციურად, ისე ხასიათითაც, მაგრამ ტექსტის გათვალისწინებით ბალადის მუსიკაში თითოეული სახე წარმოგვიდგება ახალი შტრიხებით, ინდივიდუალური თვისებებით.

ტყის მეფე თავიდან თითქოს მიმზიდველი ჩანს, მაგრამ თანდათან ვლინდება მისი აგრესიული და ულმობელი ბუნება.

### *ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ფრანც შუბერტი. ნაწყვეტი სიმღერა-ბალადიდან „ტყის მეფე“**




### *ეს უნდა იცოდეთ*

ბალადას უწოდებენ ლირიკულ-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებს. ბალადის სიუჟეტები, რომლებიც დაწერილია პოეტურ სტილში ისტორიულ, მითიურ და საგმირო თემებზე, ძირითადად ფოლკლორიდანაა აღებული.

### *შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**აზერბაიჯანი**

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი.*

I

**სოლო:** Sevimli diyar,
Sənsən ilk bahar!
**გუნდი:** Ürəyimizdə
Doğma adın var!
Ey ana Vətən —
Azərbaycan!

II

**სოლო:** Paytaxtın Bakı,
Açır gültəki!
**გუნდი:** Solmaz heç zaman,
Boy atar hər an.
Ana Vətənim —
Azərbaycan!

III

**სოლო:** Səndədir sərvət,
Gözəl təbiət.
**გუნდი:** Xoş soraqlısan.
Xoş növraqlısan,
Ey ana Vətən —
Azərbaycan!

IV

**სოლო:** Mərd əllərin var,
Yaradar, qurar!
**გუნდი:** Mavi Xəzərin,
Göy göllərin var.
Ey ana Vətən —
Azərbaycan!

### კითხვები

1. როგორ ტონალობაშია დაწერილი შენ მიერ მოსმენილი ნაწყვეტი ფრანც შუბერტის სიმღერა-ბალადისა „ტყის მეფე“?
2. რომელია რეალური სახეები სიმღერა-ბალადაში „ტყის მეფე“?
3. ვინა არის ტექსტის ავტორი სიმღერა-ბალადისა „ტყის მეფე“?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე – „აზერბაიჯანი სიმღერებში“.

თემა 3

## დრამატული წარმოდგენა და მუსიკალური სახე



*ფიქრათ ამიროვი*



*ბრმა არაბის სახე სპექტაკლიდან „შეიხი სანანი“*



*ჰუსეინ ჯავიდი*

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა, სახალხო არტისტმა ფიქრათ ამიროვმა შექმნა მრავალი ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, სხვადასხვა ჟანრის სიმფონიური და ვოკალურ-სიმფონიური მუღამები, საგუნდო ნაწარმოებები, სიმღერები, მუსიკალური ნიმუშები კინოფილმებისა და თეატრალური წარმოდგენებისათვის. მუსიკა, რომელიც კომპოზიტორმა დიდი აზერბაიჯანელი დრამატურგის, ჰუსეინ ჯავიდის პიესის „შეიხი სანანის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლისათვის შექმნა, უდავოდ წარმოადგენს ხელოვნების მარგალიტს. ამ სპექტაკლის მუსიკალური ნომერი „ბრმა არაბის სიმღერა“ უკვე დიდი ხანია ამშვენებს ჩვენი მომღერალ-შემსრულებლების რეპერტუარს. მისი პირველი შემსრულებელი იყო მამედალი ალიევი.ამ სიმღერაში ზედმიწევნითაა გადმოცემული ბრმა არაბის ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. სიმღერაში გამოყენებული ინტონაციები ჩვენი კლასიკური მუღამისა„ბაიათი-კიურდი“ კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას.

### *მოვუსმინოთ მუსიკას*



*ედვარდ გრიგი*

**ბრმა არაბის სიმღერა**
**(KOR ƏRƏBİN MAHNISI)**

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა,*
*სიტყვები ჰუსეინ ჯავიდისა.*

დრამატული ნაწარმოებებისათვის დაწერილი მუსიკალური ნიმუშები ევროპელ კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც გვხვდება. ერთ-ერთი მათგანია დიდი ნორვეგიელი კომპოზიტორის ედვარდ გრიგის მუსიკა ჰენრიკ იბსენის დრამისათვის „პერ გიუნტი“. ნაწარმოების მთავარი გმირია ახალგაზრდა გლეხი პერ გიუნტი.

თავქარიანი და ქარაფშუტა პერ გიუნტი მოექცევა ბოროტი ტროლების გავლენის ქვეშ. იგი ფლანგავს მამის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას. ცუდი ქცევებისათვის თანასოფლელები მას სოფლიდან აძევებენ. როდესაც იგი სოფელს ტოვებს, მისი დედა – მოხუცი ოსე, გამოთხოვებისას მის ხელებში კვდება.

პერ გიუნტის ერთგული შეყვარებული სოლვეიგი შორეული ქვეყნებიდან მის დაბრუნებას ელოდება, სადაც პერ გიუნტს უცნაური თავგადასავლები გადახდება. პერ გიუნტის მოგზაურობა 40 წლის განმავლობაში გრძელდება. როდესაც იგი, დაბერებული და ავადმყოფი, სამშობლოში ბრუნდება, სოლვეიგი ხვდება მას და ყველა ცოდვას მიუტევებს.

თავნება არაბი გოგონას ანიტრას ცეკვა „პერ გიუნტიდან“, რომელიც მაზურკას ტემპში სრულდება, ძალიან საინტერესო მუსიკალურ ნიმუშს წარმოადგენს.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ანიტრას ცეკვა**

*მაზურკის ტემპში*

*მუსიკა ედვარდ გრიგისა*




### *ეს უნდა იცოდეთ*

მაზურკა პოლონური ხალხური ცეკვაა. ცეკვის სახელწოდება მომდინარეობს მოზავიის მცხოვრებლების – მაზურებისაგან. XVII საუკუნეში მაზურკა პოლონურ სოფლურ ცეკვად ითვლებოდა. ხოლო XIX საუკუნიდან იგი ევროპულ ქვეყნებში ცნობილი გახდა, როგორც სამეჯლისო ცეკვა.

ამ დრამისათვის ედვარდ გრიგმა დაწერა ისეთი მშვენიერი მუსიკალური ნაწარმოებები, როგორიცაა „დილა“, „სოლვეიგის სიმღერა“, „პერ გიუნტის დაბრუნება სამშობლოში“, „ოსეს სიკვდილი“, „მთის მეფის გამოქვაბულში“ და სხვ.

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**QOY UCALSIN NƏĞMƏMİZ**

**(დაე, უფრო ომახიანად გაისმას ჩვენი სიმღერა)**

მუსიკა რამიზ მირიშლისა
სიტყვები ფიქრათ კოჯასი.

I

Yaxın gəlin, uşaqlar,
Bayram şənliyimiz var.
Çalıb, rəqs eləyək biz,
Qoy ucalsın nəğməmiz! Hey!

***მისამღერი:***
Gəlin tutaq əl-ələ,
Dönək bir dəstə gülə!

II

Burda dost olsun hamı,
Şən keçirək bayramı.
Çalıb, rəqs eləyək biz,
Qoy ucalsın nəğməmiz! Hey!

### კითხვები

1. ვინ არის ავტორი დრამისა „პერ გიუნტი“?
2. როგორ ტემპში სრულდება „ანიტრას ცეკვა“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Qoy ucalsın nəğməmiz» („დაე, უფრო ომახიანად გაისმას ჩვენი სიმღერა“)?

**დავალება:** დაწერე შენი შთაბეჭდილება „ბრმა არაბის სიმღერის“ შესახებ.

თემა 4

## ოპერეტა და მუსიკალური სახე



*ასკერის სახე ოპერეტიდან „არშინ მალ ალან“*

ოპერეტა „არშინ მალ ალან“ უზეირ ჯაჯიბეილიმ დაწერა 1913 წელს სანკტ-პეტერბურგში სწავლის დროს. „არშინ მალ ალან“ გენიალური კომპოზიტორის უკანასკნელი და ყველაზე ცნობილი ოპერეტაა. მის შექმნამდე მას დაწერილი ჰქონდა მუსიკალური კომედიები „ქმარი და ცოლი“, „ეს თუ არა, ის“.

ოპერეტის „არშინ მალ ალან“ საინტერესო სიუჟეტური ხაზი ცხოვრებიდანაა აღებული. ოპერეტის მთავარი გმირი ქალი, გიულჩოხრა, წარმომადგენელია აზერბაიჯანელი გოგონებისა, რომლებიც თავიანთი უფლებებისათვის იბრძვიან. ოპერეტის მეორე გმირი ასკერი, ახალგაზრდა ვაჭარია, რომელსაც სურს, საცოლე თვითონ იხილოს და შეიყვაროს, მაგრამ მუსულმანურ აღმოსავლეთში გოგონას ნახვა შეიძლება მხოლოდ ქორწინების შემდეგ. ამ სიტუაციიდან გამოსავალს პოულობს ასკერის მეგობარი სულეიმანი. მისი რჩევით ვაჭარი ასკერი გადაიცვამს ღარიბი არშინმალჩის – ქსოვილების მანუფაქტურის გამყიდველის ტანსაცმელს. მალე ერთ სახლში, სადაც იგი შედის საქონლის გასაყიდად, არშინმალჩის შეუყვარდება გოგონა, რომელსაც იქ ნახავს. ესაა სულთან ბეკის ქალიშვილი – გიულჩოხრა.

### *ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**მელოდია ოპერეტიდან „არშინ მალ ალან“**




ეს მელოდია რამდენჯერმე ჟღერს, როგორც „უვერტიურის“ დამხმარე თემაში, ასევე თვით წარმოდგენის მსვლელობისას.

ოპერეტაში წარმოდგენილია საინტერესო მუსიკალური სახეები – სულეიმანი, ასია, სოლთან ბეკი, ჯაჰან ჰალი, ტელი და ველი.

მსახურ ველისა და მოახლე ტელის დუეტი წარმოადგენს სიყვარულის ახსნას იუმორისტული ფორმით.



*ველი და ტელი ოპერეტიდან „არშინ მალ ალან“*

### *მოვუსმინოთ მუსიკას*

**ველისა და ტელის დუეტი**

მუსიკა და სიტყვები უზეირ ჰაჯიბეილისა.

*ეს უნდა იცოდეთ*

ჩვენთვის ცნობილია, რომ ორი მომღერლის მიერ შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებს ეწოდება დუეტი. ორი მუსიკოსის მიერ სხვადასხვა ან ერთნაირ ინსტრუმენტებზე ერთობლივ შესრულებას ასევე დუეტი ჰქვია.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**უზეირ ჰაჯიბეილი. ნაწყვეტი „ველისა და ტელის დუეტიდან“, ოპერეტიდან „არშინ მალ ალან“**




„ველისა და ტელის დუეტი“ ჟღერს ტაქტის ზომით 3/8, ტონალობა მი-მინორში. დუეტი მხიარული ხასიათისაა, მისი შესრულებისას გმირები ცეკვავენ. ამიტომ დუეტს შეიძლება ვუწოდოთ სიმღერა-ცეკვა.

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**ÜZÜMÇÜLƏR (მევენახეები)**

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვასი*
*სიტყვები ჯავად ჯავადლისა.*

I

Qara şanı qara gözüm,
Göy tənəkdə düzüm-düzüm,
Becərmişəm onu özüm.
Hər tənəyi bir qanadım,
Üzümçüdür mənim adım.

II

Gilələri sarı, ağdır,
Salxımları çilçıraqdır,
Süfrələrə axacaqdır.
Hər yaşıl bağ bir muradım,
Üzümçüdür mənim adım.

III

Düzə axsın gur bulaqlar,
Ürəyimdə arzu çağlar,
Çoxaldıqca yeni bağlar.
Bu həvəsdən heç doymadım,
Üzümçüdür mənim adım.

ამ მხიარული ხასიათის სიმღერაში, რომლის ტაქტის ზომაა 6/8, ასახუ-ლია სოფლის მშრომელების სახეები, ხოტბა შესხმულია მათი საქმიანობა.

**კითხვები**

1. რა არის დუეტი?
2. ვინ დაწერა ოპერეტა „არშინ მალ ალან“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Üzümçülər» („მევენახეები“)?

**დავალება:** შინაარსის მიხედვით დაასურათე სიმღერა «Üzümçülər» („მევენახეები“).

თემა 5

## სივრცის (ადგილის) სახე აზერბაიჯანულ სიმღერებში


*სეიდ შუშინსკი*


*ხან შუშინსკი*


*ჰაჯიბაბა ჰუსეინოვი*


*ზეინაბ ხანლაროვა*


*არიფ ბაბაევი*

სიმღერა – ხალხისათვის ყველაზე საყვარელი მუსიკალური ჟანრია. სიმღერებში, რომლებიც აზერბაიჯანელი ხალხის უძველესი მუსიკალურ-პოეტური ჟანრია, ნათლადაა ასახული ხალხის მაღალი ზნეობა, შინაგანი მდიდარი სულიერი სამყარო, ოცნებები და იმედები.სიმღერებს უძველესი დროიდან ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებლები თხზავდნენ, ამიტომ მათ ხალხურ სიმღერებს უწოდებენ. მაგრამ სიმღერებს ქმნიან ასევე კომპოზიტორები.

სიმღერები → ხალხური სიმღერები
სიმღერები → კომპოზიტორების სიმღერები

სიმღერებს სხვადასხვა თემებზე ქმნიან. მათ შორის ჭარბობს სიმღერები სივრცის, ადგილის თემაზე. ასეთ სიმღერებში ხოტბაშესხმულია კლიმატი, მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ფლორა და ფაუნა.

*მოვუსმინოთ სიმღერას*

**ŞUŞANIN DAĞLARI (შუშას მთები)**
(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)


*ჯიდირ დიუზიუ*

ხალხური სიმღერის «Şuşanın dağları» („შუშას მთები“) მოსმენისას თვალწინ ცოცხლდება ჩვენი ძველი შუშას ბუნების სურათები, მისი მდიდარი და სახელოვანი ისტორია, მისი ცადაზიდული მთები და ზურმუხტისფერი ტყეები – ერთი სიტყვით, სიმღერაში ასახულია ყარაბაღის მხარის მთელი მშვენიერება. შუშა ჩვენი ხალხისათვის ძვირფასია არა მხოლოდ მისი განუმეორებელი სილამაზის გამო, არამედ მისი სტრატეგიული მნიშვნელობითაც. იგი ჩვენი სამშობლოს აუღებელი ციხე იყო. სამწუხაროდ, დღეს შუშა სომეხი ფაშისტების უღელქვეშაა, რომლებმაც ეს ულამაზესი მხარე ნანგრევებად აქციეს, ხოლო ჩვენი ისტორიული ძეგლები, მატერიალური და სულიერი ფასეულობანი ბარბაროსულად გაანადგურეს.

ისეთი სიმღერები, როგორებიცაა „ნახიჭევანი“, «Naxçıvan», «Mən gedirəm Zəngilana» („მივდივარ ზანგილანში“), «Qubanın ağ alması» („კუბას თეთრი ვაშლები“), «Dağıstan dağ yeridir» („დაღესტანი – მთიანი მხარე“), «Tiflisin yolları» („თბილისის გზები“), «Qarabağın yollarına düşəydim» („ნეტავ, აღმოვჩნდე ყარაბაღის გზებზე“), «Aranda qaldım» („დავრჩი არანში“), «Qarabağda bir dənəsən» („ერთადერთი ყარაბაღში“), «Şuşanın ceyranı» („შუშას ჯეირანი“ და სხვ. მიძღვნილია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებისადმი.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

## QUBANIN AĞ ALMASI (კუბას თეთრი ვაშლი)

*(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)*




ხალხური სიმღერების გარდა სივრცე-ადგილის თემაზე მრავალი სიმღერაა შექმნილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორების მიერ. მათ შორის უნდა აღინიშნოს სიმღერები – რაუფ გაჯიევის „აზერბაიჯანი“, თოფიკ ყულიევის „ბაქო“, „ნახიჭევანი“, საიდ რუსტამოვის „სუმგაითი“, ტელმან გაჯიევის „განჯა“, ოქტაი რაჯაბოვის „განჯა“ და „შუშა“, ვასიფ ადიგეზალოვის („ნანა-ნანა, ჩემო შუშა“) და სხვ.

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

## SUMQAYIT (სუმგაითი)

*მუსიკა საიდ რუსტამოვისა*
*სიტყვები ნაბიბ ჯაფაროღლუსი.*

I

Canlanır hər qarış çöl Sumqayıtda,
Xariqələr yaradır el Sumqayıtda!
Boy atır zavodlar, səslənir zəfər,
Axır bol metaldan sel Sumqayıtda.

*მისამღერი:*

Canlanır hər qarış çöl Sumqayıtda, | (2)
Xariqələr yaradır el Sumqayıtda! |

II

Nə gözəl şəhərdir, xoşdur baxışı,
Bakıya qardaşdır, durub yanaşı.
Şöhrəti, qüdrəti dillərdə dastan,
Onunla fəxr edir mərd Azərbaycan.

როცა ვუსმენთ სიმღერა „სუმგაითს“, რომელიც მარშის ტემპში ჟღერს, წარმოსახვაში ცოცხლდება დიდი სამრეწველო ქალაქის სურათები. თვალწინ წარმოდგება სამრეწველო ობიექტები, პარკები და ხეივნები, მშობლიური ქალაქის მშრომელები.

**კითხვები**

1. ვინ წერს სიმღერებს?
2. რომელი ხალხური სიმღერები იცი, რომელიც დაკავშირებულია სივრცესთან, ადგილთან?
3. კომპოზიტორების რომელი სიმღერები იცი, რომელიც დაკავშირებულია სივრცესთან, ადგილთან?

**დავალება:** დახატე სურათები სიმღერის თემაზე «Şuşanın dağları» („შუშას მთები“).

თემა 6

## მუსიკალური სახეები რუსი დ აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში



*ნიკოლოზ ანდრეის ძე რიმსკი-კორსაკოვი*

დიდი რუსი კომპოზიტორის ნიკოლოზ ანდრეის ძე რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნების სახეებს. ჩვენ უკვე გავეცანით მის მუსიკალურ სახეს „ოკეანე-ზღვა" ოპერიდან „სადკო". სიმფონიურ სუიტაში „შეჰერეზადა", რომელიც კომპოზიტორმა 1888 წელს დაწერა „ათას ერთი ღამის" მოტივებზე, ბუნების სახეები ასევე დიდი ოსტატობითაა შექმნილი. სუიტა 4 ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან საერთო მხატვრული და მუსიკალური სახეების საშუალებითაა დაკავშირებული. სიმფონიური სუიტის „შეჰერეზადას" პირველ ნაწილს ჰქვია „ზღვა. სინდბადის გემი". ამ ნაწილში კომპოზიტორი მუსიკალური ენის და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ქმნის ზღვის შესნიშნავ სახეებს. ამ სუიტით კომპოზიტორმა საფუძველი დაუდო სიმფონიური ზღაპრის ჟანრს რუსულ მუსიკაში.

*მოვუსმინოთ სიმღერას*

**ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი.** ნაწყვეტი სუიტიდან „შეჰერეზადა"

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი.** ნაწყვეტი სუიტიდან „შეჰერეზადა".




*მოვუსმინოთ მუსიკას*



*ფრაგმენტი სიმფონიური პოემიდან „ლეილი და მეჯნუნი"*

**ყარა ყარაევი. თანამდევი თემა სიმფონიური პოემიდან „ლეილი და მეჯნუნი"**

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა გენიალური ნიზამის ნაწარმოების „ლეილი და მეჯნუნის" საფუძველზე 1947 წელს შექმნა იმავე სახელწოდების სიმფონიური პოემა. ამ პოემაში მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით შექმნილია ლეილისა და მეჯ-

ნუნის სახეები. სიმფონიურ პოემაში მუსიკალური თემები ხან დაძაბული, ხან ლირიკული ხასიათისაა. ნაწარმოები შედგება 3 ძირითადი თემისაგან: პირველი თემა სიმფონიური პოემის შესავალ ნაწილში წარმოგვიდგენს ტრაგიკულ სიტუაციას, მეორე – ძირითადი თემა გვიჩვენებს ორი ყმაწვილი გულის მხურვალე სიყვარულს. მესამე თემა – თანამდევი პარტიაა, რომელიც გამოსახავს ადამიანურ იდეალს.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ყარა ყარაევი. ნაწყვეტი სიმფონიური პოემიდან „ლეილი და მეჯნუნი“**




*ეს უნდა იცოდეთ*

სუიტა – მუსიკალური ნაწარმოებია, რომელიც შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწილისაგან, რომლებსაც აერთიანებს საერთო მხატვრული ჩანაფიქრი ან პროგრამა. ტერმინი „სუიტა“ მუსიკაში შეიტანეს ფრანგმა კომპოზიტორებმა XVII საუკუნეში.

*გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა*

**ყარა ყარაევი. დოკუმენტური ფილმის „კასპიის მენავთობეთა ამბავის“ მუსიკიდან**

**სიყმაწვილის სიმღერა (GƏNCLİK MAHNISI)**

*მუსიკა ყარა ყარაევისა,*
*სიტყვები ევგენი დოლმატოვსკისა.*

I

Dalğalı Xəzərdə biz saldıq,
İlk qəhrəman bir şəhər.
Bu şəhərdən, bu yerdən,
Görməyib heç bəşər.

*მისამღერი:*
Bir vüqarla, iftixarla,
Durur şöhrət adası.
Buruqların dalğalarla,
Qovğası var, qovğası.

II

Hər yandan gur dalğa, bax,
Hücum çəkir həm gecə, həm gündüz,
Qardaşlıq və dostluğa,
Bata bilməz dəniz.

*მისამღერი:*

სიმღერა ჟღერს ტაქტის ზომით 3/4, ვალსის ტემპში.

**კითხვები**

1. რა ჰქვია სუიტას, რომელიც ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვმა დაწერა არაბული ზღაპრის „ათას ერთი ღამის“ მოტივებზე?
2. რამდენი ძირითადი თემისაგან შედგება ყარა ყარაევის სიმფონიური პოემა „ლეილი და მეჯნუნი“?
3. ვინ არიან „სიყმაწვილის სიმღერის“ ავტორები?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია „სიყმაწვილის სიმღერის“ მუსიკალური სახეების შესახებ.

თემა 7

## მუსიკალური სახეები აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვებში

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**„კაითაღი“. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა**

თავისი შინაარსით აზერბაიჯანული ხალხური ცეკვების კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი სახით:






*ცეკვა „ჯანგი“*



*ცეკვა „უზუნდერე“*



*ცეკვა „ხანი ჩობანი“*



*ცეკვა „კაითაღი“*

ეს ცეკვები, რომლებიც ძველი ცეცხლთა ქვეყნის ისტორიულ პერიოდებში წარმოიშვა, დღესაც სრულდება საერთო-სახალხო დღესასწაულებსა და ქორწილებში. ჩვენ მიერ მოსმენილი საცეკვაო მელოდია „კაითაღი“ ასახავს გაბედულებას, საომარ სულისკვეთებას, თავგანწირვას. ამ მელოდიაზე, რომელიც ჩქარ ტემპში ჟღერს, ძირითადად ახალგაზრდა ვაჟები ცეკვავენ.

ჩვენს მეზობელ დაღესტანში ცეკვები „ლეკური“ და „ყაზარდოული“ თავისი რიტმით ძალიან ახლოა ჩვენს ცეკვასთან „კაითაღი“. ბევრმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა მიმართა ეროვნულ ცეკვებს თავიანთ შემოქმედებაში. მაესტრო ნიაზიმ, თოფიკ ყულიევმა და ოქტაი რაჯაბოვმა ცეკვა „კაითაღი“ სიმფონიური ორკესტრისათვის დაამუშავეს.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**„ზორხანა“. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა.**

ცეკვის სახელწოდება „ზორხანა“ მომდინარეობს ადგილმდებარეობიდან, სადაც ახალგაზრდები თავიანთი ძალის გამოცდას ახდენდნენ. ამ ცეკვაში მუსიკის თანხლებით ორი ჭაბუკი ერთმანეთს ებრძვის. გამარჯვებულს ჯილდოს გადასცემდნენ.



*ცეკვა „ზორხანა“*

## თემა 7

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**„დარჩინი“. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა.**

**უზეირ ჰაჯიბეილი. „მეშადი იბადისა და რუსტამ ბეკის დუეტი“ ოპერეტიდან „ეს თუ არა, ის“.**

მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები ორი მუსიკალური ნაწარმოებებისა:

ცეკვა „დარჩინი“

მელოდია

„მეშადი იბადისა და რუსტამ ბეკის დუეტი“

*განსხვავებანი*

1. სრულდება ხალხური ტრიოს მიერ.
2. წარმოადგენს ინსტრუმენტულ მუსიკას.
3. ცეკვის თანხლებისათვის.

*მსგავსება*

*განსხვავებანი*

1. სრულდება სიმფონიური ორკესტრისა და ვოკალისტების მიერ.
2. წარმოადგენს ვოკალურ-სიმფონიურ ნაწარმოებს.
3. დუეტის თანხლებისათვის.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კომპოზიტორები სერიოზული ჟანრის მსხვილ მუსიკალურ ნაწარმოებებში იყენებენ ხალხური ცეკვის მელოდიებს. უზეირ ჰაჯიბეილიმ თავის ოპერეტაში „ეს თუ არა, ის“ „მეშადი იბადის სიმღერაში“ გამოიყენა საცეკვაო მუსიკა „უზუნდერე“.

არსებობს ისეთი აზერბაიჯანული სიმღერები, რომლებიც სრულდება როგორც სიმღერის, ისე ცეკვის სახით. ასეთ სიმღერებს უწოდებენ „სიმღერა-ცეკვებს“. მათ რიცხვს მიეკუთვნება სიმღერაც «Çal-oyna» („იმღერე-იცეკვე“), რომელიც სრულდება ერთობლივად გოგონებისა და ბიჭების მიერ. ამ სიმღერა-ცეკვაში, როდესაც ბიჭები მღერიან, გოგონები ტაშს უკრავენ, და პირიქით, როცა გოგონები მღერიან, ბიჭები უკრავენ ტაშს.

*გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა*

**ÇAL-OYNA (იმღერე-იცეკვე)**

*(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა-ცეკვა)*

I

Dost bağında açılıb güllər,
Sarılıb güllərə sarı bülbüllər.
Qızlar düzüb telinə güllər,
Gülürlər nazlana-nazlana.

*მისამღერი:*

Mehribanım, mehriban,
Dur oyna, çal-oyna.
Yaxşı oğlan, qəşəng qız,
Çal-oyna.
Gözəl oğlan, gözəl qız, Çal-oyna.

II

Dost bağında bitər alçalar,
Ağ çiçəkləyər, yetər alçalar.
Toylarda qayda belədir,
Oğlan oxuyar, qızlar əl çalar.

*მისამღერი:*

ამ ცეკვის კუპლეტი, რომელიც ჟღერს ტაქტის ზომით 3/4, სრულდება ნელ ტემპში, ხოლო მისამღერი – ჩქარ ტემპში.

### კითხვები

1. როგორი შინაარსის ხალხური ცეკვები არსებობს?
2. უზეირ ჰაჯიბეილის რომელ ოპერეტაშია გამოყენებული ცეკვები „დარჩინი“ და „უზუნდერე“?
3. როგორ სრულდება მისამღერი და კუპლეტი სიმღერა-ცეკვაში «Çal-oyna» („იმღერე-იცეკვე“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია სიმღერა-ცეკვის «Çal-oyna» („იმღერე-იცეკვე“) შესახებ.

თემა 8

## განვლილი თემების განმეორება

*თემასთან დაკავშირებით გამოიცანი ფოტოსურათებზე გამოსახული კომპოზიტორების სახელები და გვარები.*

    

## ტ ე ს ტ ე ბ ი

*1. რომელი ოპერის გმირია ჰასან ხანი?*

ა) „აზადი“ ბ) „სევილი“ გ) „ქოროღლი“

*2. რა ეწოდება ჰასან ხანის ხმას?*

ა) ტენორი ბ) ბანი გ) ბარიტონი

*3. ვინ არის ავტორი სიმღერა-ბალადისა „ტყის მეფე“?*

ა) ფ. შოპენი ბ) ე. გრიგი გ) ფ. შუბერტი

*4. ვინ არის ავტორი „ბრმა არაბის სიმღერისა“?*

ა) ყ. ყარაევი ბ) ნიაზი გ) ფ. ამიროვი

*5. ვინ არის ავტორი დრამატული ნაწარმოებისა „პერ გიუნტი“?*

ა) ვ. ჰიუგო ბ) ჰ. იბსენი გ) მ. ტვენი

*6. უზეირ ჰაჯიბეილის რომელ ოპერეტაშია „ველისა და ტელის დუეტი“?*

ა) „ეს თუ არა, ის“

ბ) „ქმარი და ცოლი“

გ) „არშინ მალ ალან“

*7. ვინ არის ავტორი სუიტისა „შეჰერეზადა“?*

ა) ყ. ყარაევი ბ) ფ. ამიროვი გ) ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი

# მუსიკალური სახე (გაგრძელება)



თემა 9

## იავნანას მელოდიები კომპოზიტორების სიმღერებში

არის ისეთი სიმღერები, რომელთა, საყვარელი მელოდიებით ოდესღაც, ბავშვობაში ვიძინებდით, ჯადოსნურ სამყაროში ვიძირებოდით, დედური სიყვარულის სითბოს ვისრუტავდით. ესაა ძილისპირული სიმღერები. დედები, რომლებიც იავნანას უმღეროდნენ თავიანთ პატარებს, მასში დებდნენ მთელ თავის დედურ სიყვარულს, და ეს თაობიდან თაობას გადაეცემოდა წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების, ჩვენი ხალხის სიბრძნის სახით.

დედისა და შვილის სახეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცნობილი მხატვრების შემოქმედებაში. აღორძინების ეპოქის (XV) დიდი მხატვრები – ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, – მშვენიერი გარეგნობისა და მდიდარი შინაგანი სამყაროს მქონე სრულყოფილი ქალის სახეს სწორედ დედაში ხედავდნენ. აზერბაიჯანელი მხატვრების შემოქმედებაშიც ბევრია ნამუშევრები, რომლებიც ამ წმინდა სახეს განასახიერებენ.



*ფრაგმენტი ფიქრათ ამიროვის ოპერიდან „სევილი“*



*ალტაი გაჯიევი. „წარსულის ფურცლები. იავნანა“*

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ფიქრათ ამიროვი. „იავნანა“ ოპერიდან „სევილი“**

ოპერა „სევილი“ , რომელიც ფიქრათ ამიროვმა ჯაფარ ჯაბარლის ამავე სახელწოდების პიესის საფუძველზე შექმნა, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს აზერბაიჯანის მუსიკალურ ცხოვრებაში. ეს ოპერა, როგორც პირველი ეროვნული ლირიკული ოპერა, აზერბაიჯანის ხელოვნების ისტორიაშია შესული.

ნაწარმოების მთავარი გმირი სევილი იავნანას უმღერის თავის პატარას. ამ სიმღერის მოსმენისას თვალწინ წარმოგიდგებათ გასული საუკუნის აზერბაიჯანელი ქალის განზოგადებული სახე.

სევილი, რომელიც დაჩაგრულია თავისი ქმრის ბალაშის მიერ, უზის შვილის – გიუნდიუზის აკვანს. დედის იავნანაზე პატარას ტკბილად ეძინება.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ANA LAYLASI (დედის ნანა)**

*მუსიკა ოქტაი ზულფუგაროვისა,*
*სიტყვები რაფიგ ზეკისა.*




ეს სიმღერა ჟღერს ტონალობა მი-მინორში.



*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**LAYLA (იავნანა)**

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა,*
*სიტყვები ნაბი ხაზრისა.*

I

Gecə keçər, üzün gülər,
Anan qurban, canım qurban!
Səhər gələr, atan gələr,
Anan qurban, körpə balam!
Laylay, laylay, yat, mənim əzizim! | 2
Yat, yat! |

II

Arzun coşsun, dəniz olsun,
Anan qurban, canım qurban!
Bəxtin sənin səhər kimi,
Təmiz olsun, anan qurban!
Laylay, laylay, yat, mənim əzizim! | 2
Yat, yat! |

**კითხვები**

1. რა იცი ძილისპირული სიმღერების შესახებ?
2. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Layla» („იავნანა“)?
3. როგორ ტონალობაში ჟღერს სიმღერა «Ana laylası» („დედის ნანა“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე – ძილისპირული სიმღერები კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

## თემა 10

## ძილისპირული სიმღერები ხალხურ მუსიკაში



*სარა მანაფოვა. „ახალ ცხოვრებაში“*

აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში ერთ-ერთ უძველეს ჟანრს წარმოადგენს ძილისპირული სიმღერები. ძილისპირული სიმღერების ჟანრი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკალურ ფოლკლორში არსებობს. ძილისპირული სიმღერების წარმოშობა ისტორიულად ამ ხალხთა საყოფაცხოვრებო და ოჯახურ ტრადიციებთან არის დაკავშირებული. როგორც წესი, ძილისპირულ სიმღერებს მღეროდნენ ქალები (დედები, ბებიები). იმ სიმღერებს, რომლებსაც დედები უმღეროდნენ თავიანთ პატარებს, წარმოადგენს ძილისპირული – ნინნი, საალერსო (ოხშამა) სიმღერები.



*უილიამ ბუგრო. XIX საუკუნე. საფრანგეთი*

იავნანური სიმღერები, ნინნი და საალერსო (ოხშამა) მდიდარია მელიზმებით. ეს სიმღერები თავისებური სტილით სრულდება. აკვნის სასთუმალთან მჯდომი დედები რიტმულად არწევდნენ აკვანს და რიტმის შესაბამისი მელოდიით ნახევრად სიმღერით, ნახევრად კითხვით, ანუ რეჩიტატიულ-დეკლამაციური სტილით უმღეროდნენ თავიანთ პატარებს. უმეტეს შემთხვევაში ძილისპირული სიმღერების ტექსტები შედგება შვიდმარცვლიანი ზაიათებისაგან.

Laylay beşiyim, laylay, 2—3—2
Evim, eşiyim, laylay. 2—3—2
Sən get şirin yuxuya, 2—2—3
Çəkim keşiyin, laylay. 2—3—2

აზერბაიჯანული ძილისპირული სიმღერები ნოტებით პირველად ჩაწერა უზეირ ჰაჯიბეილიმ და მუსლიმ მაგომაევმა (ცნობილი მომღერლის მუსლიმ მაგომაევის პაპა).

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვი. „იავნანა“ სუიტიდან „თურქული ფრაგმენტები“**

ცნობილმა რუსმა კომპოზიტორმა მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვმა 1925 წელს დაწერილ სიმფონიურ ნაწარმოებში „თურქული ფრაგმენტები“ გამოიყენა აზერბაიჯანული მუსიკის რამდენიმე ნიმუში, მათ შორის „იავნანაც“.

*ვიმღეროთ სიტყვებით ნოტების მიხედვით*

**BEŞİK BAŞINDA** (აკვანთან)

*(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)*



ეს სიმღერა ჟღერს ტონალობა ფა-მინორში. ტონალობა ფა-მინორს აქვს ნიშნები სი ბემოლი, მი ბემოლი, ლა ბემოლი და რე ბემოლი. ნიშანი მი ბეკარი ნოტში მიუთითებს მის ჰარმონიულ სახეზე. ე. ი. ჰარმონიული სახის მინორში მისი VII საფეხური მაღლდება ნახევარი ტონით. ფა-მინორის მაჟორულ გამას ეწოდება ლა ბემოლ მაჟორი, რომელსაც ასევე აქვს ოთხი ბემოლის ნიშანი.

ვიმღეროთ ჰარმონიული სახის გამა ფა-მინორი.



*ვისწავლოთ ახალი სიმღერა*

**LAYLA (იავნანა)**

*(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)*




I
Könlümün bir gülüsən,
O gülün bülbülüsən.
Sinəmin sünbülüsən,
Səni, yavrum, sevərəm.

II
Laylay dedim həmişə,
Karvan gedər enişə.
Yastığında gül bitsin,
Döşəyində bənövşə.

III
Layla, quzum, ağlama,
Ürəyimi dağlama.
Yat, yuxun şirin olsun,
Yuxuma daş bağlama.

IV
Layla, əməyim, bala,
Duzum-çörəyim, bala.
Gözlərəm böyüyəsən,
Görüm köməyin, bala.

## კითხვები

1. კიდევ რა სიმღერებს უმღერიან დედები თავიანთ პატარებს აკვანთან?
2. რომელ სიმფონიურ ნაწარმოებში გამოიყენა რუსმა კომპოზიტორმა მ. იპოლიტ-ივანოვმა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „იავნანა“?
3. რომელი პოეტური ნიმუშებია გამოყენებული ძილისპირული სიმღერების ტექსტებად?
4. რომელი ბგერა მაღლდება ნახევარი ტონით ჰარმონიულ მინორში?

**დავალება:** მოამზადე მცირე ზეპირი პრეზენტაცია ძილისპირული სიმღერების ჟანრის შესახებ.

თემა 11

## პროგრამული მუსიკა და მუსიკალური სახე



ჯოვდათ გაჯიევი

გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი ჯოვდათ გაჯიევი ავტორია სიმფონიის, ყარა ყარაევთან ერთად დაწერილი ოპერის „ვეტენი“ („სამშობლო“), სიმფონიური პოემის „მშვიდობისათვის“, კამერულ-ინსტრუმენტული, აგრეთვე საფორტეპიანო და საგუნდო ნაწარმოებების. ამავე დროს იგი არ ივიწყებდა ბავშვებს. მას მათთვის დაწერილი აქვს პროგრამული, ანუ წინასწარ ცნობილი სახელწოდების მქონე, საფორტეპიანო პიესები „მუსიკალური სურათები“ («Musiqi şəkilləri»). ეს საფორტეპიანო ციკლი შედგება რვა მცირე პიესისაგან. ეს პიესები ერთმანეთის მიმართ კონტრასტულები არიან. ციკლში შედის საფორტეპიანო პიესები – „ლეგენდა“, „ზღაპარი“ ეპიკურ თემებზე; ბავშვთა ყოველდღიური ცხოვრებისადმი მიძღვნილი, საცეკვაო ხასიათის პიესები – „გასეირნება“, „ხუმრობა“; ადამიანების რიტმული მოძრაობების ამსახველი – „მარში“, „ლირიკული ცეკვა“, „ეტიუდი“. ციკლი მთავრდება „ეპილოგით“.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ჯოვდათ გაჯიევი. „მარში“ ციკლიდან „მუსიკალური სურათები“**

ჩვენ მიერ მოსმენილ ამ საფორტეპიანო პიესაში ასახულია მტკიცე ნაბიჯებით, მხნედ მიმავალი მოსწავლეები. მუსიკის მკაფიო რიტმი, მარტივი მელოდია, ხალხურ მუსიკასთან სიახლოვე მას ადვილად აღსაქმელს ხდის.



მოდესტ მუსორგსკი

რუსი კომპოზიტორის მოდესტ მუსორგსკის შემოქმედებაშიც არის საფორტეპიანო ციკლი სახელწოდებით „სურათები გამოფენიდან“. გამოფენაზე ნანახმა მისი ახლო მეგობრის, ცნობილი მხატვრისა და არქიტექტორის, ვიქტორ გერტმანის ნახატებმა მას მოგვიანებით ამ ციკლის შექმნა შთააგონა. ამ პროგრამულ ნაწარმოებში, რომელიც შედგება 10 საფორტეპიანო პიესისაგან, მხატვრის 10 ნაწარმოები მუსიკალური სახეებით არის გადმოცემული.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**მოდესტ მუსორგსკი. „როკაპი“ ციკლიდან „სურათები გამოფენიდან“**

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

ყარა ყარაევი. ნაწყვეტი საფორტეპიანო პიესიდან „ჩაფიქრება“




*გავიხსენოთ და ვიმღეროთ*

**QIŞ MAHNISI** (ზამთრის სიმღერა)

*მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა,*
*სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა.*

I

Hər tərəfə yağıb qar,
Tez gəlin siz, uşaqlar.
Ağ geyinib meşə, dağ,
Qar topası oynayaq.

*მისამღერი:*
Qış gəlibdir, qış gəlib,
Bu yerlərə xoş gəlib.
Neyləyəcək qar bizə,
Dost olub bahar bizə.

II

Gizlənibdir turaclar,
Buz bağlayıb yamaclar.
Donub güllər, çiçəklər,
Əsir soyuq küləklər.

*მისამღერი:*
Qış gəlibdir, qış gəlib,
Bu yerlərə xoş gəlib.
Neyləyəcək qar bizə,
Dost olub bahar bizə.

*ეს უნდა იცოდეთ*

იმის მიუხედავად, რომ ციკლი „სურათები გამოფენიდან“ მოდესტ მუსორგსკიმ 3 კვირაში დაწერა, ნაწარმოებზე რეცენზია შეიქმნა და გამოიცა კომპოზიტორის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ.

**კითხვები**

1. რა არის პროგრამული მუსიკალური ნაწარმოები?
2. რამდენი პიესაა ჯოვდათ გაჯიევის საფორტეპიანო ციკლში „მუსიკალური სურათები“?
3. რა სახელწოდება აქვს მოდესტ მუსორგსკის საფორტეპიანო ციკლს?

**დავალება:** დახატე სურათი თემაზე „ზამთრის სიმღერა“ («Qış mahnısı»).

თემა 12

## მინიატურა და მუსიკალური სახე

მინიატურას უწოდებენ მცირე ფორმის ხელოვნების ნაწარმოებს. ეს ჟანრი გამოყენებულია როგორც მუსიკაში, ისე სახვით ხელოვნებაში. გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ფიქრათ ამიროვმა ამ ჟანრში შექმნა საფორტეპიანო ციკლი „12 მინიატურა“. ამ პროგრამული ციკლის თითოეულ პიესას თავისი სახელწოდება აქვს. ესენია – „ლირიული ცეკვა“, „ბარკაროლა“, „მარში“, „აშიღსაიაღი“, „სანადიროდ“ და სხვ. „ბარკაროლა“ – იტალიური სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „მენავის სიმღერას“. ნაწარმოები ლირიკული ხასიათისაა, მეტრული ზომით 6/8. ნაწარმოების სმენისას თვალწინ წარმოგიდგებათ მენავის სახე, რომელიც საღამოხანზე მიცურავს ნავით და მღერის გულში ჩამწვდომ, ლირიკულ სიმღერას.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ფიქრათ ამიროვი. „ბარკაროლა“ საფორტეპიანო პიესების ციკლიდან „12 მინიატურა“**

მინიატურის ჟანრი ფართოდაა გავრცელებული ფერწერაში. სწორედ ამ ჟანრს განეკუთვნება მხატვარ აბდულა ალეკპეროვის „???“ („მომღერალი გოგონა“), „???“ („შენი შვილები ვიქნებით მარად, აზერბაიჯანო“), არიფ ჰუსეინოვის „???“ („თეთრცხენიანი მხედარი“) და სხვ.



*აბდულა ალეკპეროვი „მომღერალი გოგონა“*



*აბდულა ალეკპეროვი „შენი შვილები ვიქნებით მარად, აზერბაიჯანო“*



*არიფ ჰუსეინოვი. „თეთრცხენიანი მხედარი“*



*პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი*

საფორტეპიანო პიესა, სახელწოდებით „ბარკაროლა“, დაწერილი აქვს გენიალურ რუს კომპოზიტორს პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის. საფორტეპიანო პიესების ციკლში „წელიწადის დრონი“ პ. ი. ჩაიკოვსკიმ წელიწადის ყველა დროს – გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომასა და ზამთარს – უძღვნა სამ-სამი პიესა, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი სახელწოდება.

**წ ე ლ ი წ ა დ ი ს  დ რ ო ნ ი**

იანვარი – „ბუხართან“
თებერვალი – „ყველიერი“
მარტი – „ტოროლას სიმღერა“

აპრილი – „თეთრყვავილა“
მაისი – „თეთრი ღამეები“
ივნისი – „ბარკაროლა“

თემა 12

| | |
|---|---|
| ივლისი – „მთიბავის სიმღერა“<br>აგვისტო – „მკა“<br>სექტემბერი – „ნადირობა“ | ოქტომბერი – „შემოდგომის სიმღერა“<br>ნოემბერი – „ეტლზე“<br>დეკემბერი – „შობის დღეები“ |

*მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**პეტრე ჩაიკოვსკი. „ბარკაროლა“ საფორტეპიანო პიესების ციკლიდან „წელიწადის დრონი“**




*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ზამთრის სიმღერა (QIŞ MAHNISI)**

*მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა*
*სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა*




## კითხვები

1. რას ნიშნავს სიტყვა „მინიატურა“?
2. ვინ არის ავტორი საფორტეპიანო პიესებისა (12 მინიატურა“?
3. ვინ დაწერა საფორტეპიანო პიესების ციკლი „წელიწადის დრონი

**დავალება:** დახატე ზამთრის სურათები.

## განვლილი თემების განმეორება
## მომზადება საკლასო კონცერტისათვის

*ფოტოსურათების მიხედვით გამოიცანი კომპოზიტორების ვინაობა*










## ტ ე ს ტ ე ბ ი

***1. რ ჰქვია ულმობელ ხანს ოპერიდან „ქოროღლი“?***

ა) ჰუსეინ ხანი ბ) ჰასან ხანი გ) ელდარ ხანი

***2. რომელი პოეტის ლექსზეა დაწერილი სიმღერა-ბალადა „ტყის მეფე“?***

ა) ჰ. ჰაინე ბ) ი. ვ. გოეთე გ) ს. მიხალკოვი

***3. ვინ დაწერა მუსიკა სპექტაკლისათვის „შეიხი სანანი“?***

ა) ყ. ყარაევმა ბ) ჯ. გაჯიევმა გ) ფ. ამიროვმა

***4. ვინ დაწერა დრამატული ნაწარმოები „შეიხი სანანი“?***

ა) ჯ. ჯაბარლიმ ბ) გ. ჯავიდმა გ) სამედ ვურღუნმა

***5. ვინ არის ავტორი მუსიკისა დრამატული ნაწარმოებისათვის „პერ გიუნტი“?***

ა) მ. მუსორგსკი ბ) ფ. შუბერტი გ) ე. გრიგი

***6. ვინ დაწერა საფორტეპიანო ციკლი „სურათები გამოფენიდან“?***

ა) ყ. ყარაევმა ბ) მ. მუსორგსკიმ გ) ე. გრიგმა

***7. რომელ ჟანრს მიეკუთვნება აბდულა ალეკპეროვის «Nəğməkar qız» („მომღერალი გოგონა“)?***

ა) მინიატურა ბ) გრაფიკა გ) ფერწერა

# მუსიკალური დრამატურგია



თემა 15

## ყარა ყარაევის ბალეტის „შვიდი მზეთუნახავის“ დრამატურგია



*ნიზამი განჯელი*

გამოჩენილმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა შექმნა ისეთი მუსიკალური შედევრები, როგორიცაა ბალეტი „შვიდი მზეთუნახავი“ და სიმფონიური პოემა „ლეილი და მეჯნუნი“, რომლებმაც იგი გენიალური ნიზამი განჯელის შემოქმედებასთან დააკავშირა. ბალეტი „შვიდი მზეთუნახავი“ შექმნილია ერთ-ერთი პოემის მოტივებზე, რომელიც შესულია ნიზამი განჯელის „ხამსეში“. ბალეტი დაიდგა აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე 1952 წელს. წარმოდგენის რეჟისორი და ბალეტმაისტერი იყო პეტრე გუსევი, ხოლო ბალეტის ინსცენირების კონსულტანტი – სახალხო არტისტი გამარ ალმასზადე. ბალეტის მოკლე შინაარსი ასეთია: ბაჰრამ შაჰს ნადირობისას გზა დაებნა და ძველი ციხესიმაგრის ნანგრევების გავლით აღმოჩნდა მონადირე მანზარის სახლთან. მანზარი და მისი და შეხვდნენ ბაჰრამ შაჰს. ამ დროს ბოროტი ვაზირი რასტ როვშანი შაჰს ატყობინებს მტრის თავდასხმის შესახებ. მანზარი ბაჰრამ შაჰს ომში მიჰყვება. შაჰი თავის ადგილზე ნიშნავს ბოროტ ვაზირს. ვაზირი ბაჰრამ შაჰის მოკვლის გზას ეძებს. მანზარი სიკვდილისაგან იხსნის ბაჰრამ შაჰს. შაჰი უბრუნდება თავის ტახტს, მაგრამ გულგრილი ხდება თავისი ხალხის მიმართ. ვაზირი კი, რომელიც თავისი მიზნის მიღწევას ცდილობს, აგრძელებს ხრიკებს შაჰის წინააღმდეგ. შაჰი, რომელიც მთელ დღეებს ფუჭ გართობაში ატარებს,სატუსაღოში აგდებს მონზარს და მის თანამებრძოლებს, რომლებსაც მისი დახმარება უნდათ. აიშა მიდის შაჰის სასახლეში და შაჰს ევედრება, გაათავისუფლოს მისი ძმა და მისი მეგობრები.



*სცენა ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“*

მანზარი თანამებრძოლებთან ერთად გაიპარება სატუსაღოდან. შაჰის ხალხი წვავს გლეხების პურის ყანებს. შაჰი სიკვდილით სჯის აიშას. ხალხი აჯანყდება. ბაჰრამ შაჰს ქვეყნიდან აძევებენ.



*„ადაჯიო“ ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“*

### *მოვუსმინოთ მუსიკას*

**ყარა ყარაევი. „ადაჯიო ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“**

„ადაჯიოში“ მშვენიერი, გულში ჩამწვდომი მელოდიის საშუალებით ნაჩვენებია აიშას სახე, ხასიათი. ამ ცეკვის ინტონაციები, მელოდიური ელემენტები, რომლებიც ნელ ტემპში ჟღერს, ტაქტის ზომით 6/8, აიშას სიკვდილის სცენამდე რამდენჯერმე მეორდება. ე. ი. ისინი ლაიტმოტივის თავისებურ როლს ასრულებენ.

## თემა 15

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ყარა ყარაევი. „ირანის მზეთუნახავი“ ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“**

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ყარა ყარაევი. „ირანის მზეთუნახავი“ ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“. ნაწყვეტი ძირითადი მელოდიიდან.**

**Andante cantabile**



ბალეტში შვიდი ქვეყნის ხალხის მუსიკის საფუძველზე შექმნილია შვიდი მზეთუნახავის სახე: „ინდოელი მზეთუნახავი“, „ბიზანტიელი მზეთუნახავი“, „ხორეზმელი მზეთუნახავი“, „სლავი მზეთუნახავი“, „მაღრიბელი მზეთუნახავი“, „ჩინელი მზეთუნახავი“, „ირანელი მზეთუნახავი“. რიტმული ვალსი ამ ბალეტში, რომელიც საკონცერტო პიესის სახით ჟღერს, ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ყარა ყარაევი. „ვალსი“ ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“**

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

### AZƏRBAYCANA GƏLSİN

**(გთხოვთ, გვეწვიოთ აზერბაიჯანში)**

*მუსიკა თოფიკ ყულიევისა,*
*სიტყვები სულეიმან რუსტამისა.*

I

Vətənimin seyrinə çağırıram elləri,
Sərvət görmək istəyən, Azərbaycana gəlsin!
Bəzənib başdan-başa şəhərləri, kəndləri,
Cənnət görmək istəyən, Azərbaycana gəlsin!

II

Payızında, qışında, baharında, yazında,
Dinir dostluq nəğməsi könüllərin sazında.
Sabaha addımlayan mərd oğlunda, qızında,
Qeyrət görmək istəyən, Azərbaycana gəlsin!

III

Bağçaları, bağları zavalsızdır qış-bahar,
Məhəbbəti, şöhrəti dolaşır diyar-diyar.
Üçrəngli bayraq altda alnıaçıq, bəxtiyar,
Millət görmək istəyən, Azərbaycana gəlsin!

### კითხვები

1. რომელ წელს დაიდგა პირველად ბალეტი „შვიდი მზეთუნახავი“?
2. ჩამოთვალეთ ძირითადი სახეები ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“.
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Azərbaycana gəlsin» („გთხოვთ, გვეწვიოთ აზერბაიჯანში“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ბალეტი „შვიდი მზეთუნახავის“ შესახებ.

თემა 16

## დრამატურგია არიფ მელიქოვის ბალეტისა „ლეგენდა სიყვარულზე“



არიფ მელიქოვი



ფრაგმენტი ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“



ნაზიმ ჰიქმეთი

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა არიფ მელიქოვმა შექმნა ბალეტი „ლეგენდა სიყვარულზე“ თურქი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით. ბალეტი „ლეგენდა სიყვარულზე“, რომელიც შეიქმნა ორი გამოჩენილი ოსტატის ერთობლივი მუშაობის შედეგად, დაიდგა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრი) 1961 წელს ბალეტმაისტერ იური გრიგოროვიჩის მიერ. ამ დროს კომპოზიტორი მხოლოდ 28 წლისა იყო. სწორედ ამ ბალეტმა მოუტანა ახალგაზრდა კომპოზიტორს მსოფლიო აღიარება. ბალეტის მოკლე შინაარსი ასეთია: შირინი, დედოფალ მეჰმენ ბანუს დასნეულებული და, სიკვდილის პირასაა. ამის გამო მთელი სამეფო კარი ღრმადაა დამწუხრებული. ვიღაც კაცი ატყობინებს დედოფალს, რომ მისი და სასიკვდილო სენისაგან განიკურნება, თუ მეჰმენე ბანუ თავის სილამაზეს გაიღებს მსხვერპლად. გარკვეული ყოყმანის შემდეგ დედოფალი თანხმობას აცხადებს. გამოჯანმრთელებული შირინი თავისი დამახინჯებული დის დანახვაზე გაოგნებულია. ამ დროს მთავრდება სასახლის მშენებლობა, რომელიც შირინისათვის ააშენა ქვის მთლელმა ფარჰადმა. დები სასახლის წარჩინებულებთან ერთად მიდიან მის სანახავად.ფარჰადი დანახვისთანავე შეუყვარდება ორივე დას – მეჰმენ ბანუს და შირინს. ფარჰადი შირინის სილამაზით არის მოხიბლული. მეჰმენე ბანუ, უწყლობით გატანჯული ხალხის გულისწყრომის შიშით, სახეს შავი საბურველით იფარავს. იგი ადგილს ვერ პოულობს ფარჰადის სიყვარულის გამო. ფარჰადი და შირინი გაქცევას გადაწყვეტენ. ამის შესახებ გაიგებს მეჰმენ ბანუ და დაიჭერს მათ. მაგრამ შირინის ვედრებას შეისმენს და ჰპირდება,ფარჰადზე დააქორწინოს, თუკი ფარჰადი მთას გააპობს და ხალხს უწყლობისაგან იხსნის...



„მასხარათა ცეკვა“ ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**არიფ მელიქოვი. „მასხარათა ცეკვა“ ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“**

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით და მოვუსმინოთ*

„თურქი გოგონების ცეკვა“
(2 აქტი)




*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით და სიტყვებით*

## AZƏRBAYCANA GƏLSİN
(გთხოვთ, გვეწვიოთ აზერბაიჯანში)

*მუსიკა თოფიკ ყულიევისა,*
*სიტყვები სულეიმან რუსტამისა.*




### კითხვები

1. ვინ დაწერა ბალეტი „ლეგენდა სიყვარულზე“?
2. რომელი თურქი პოეტის პოემის მიხედვით შეიქმნა „ლეგენდა სიყვარულზე“?
3. როგორ უმღერიან აზერბაიჯანის ბუნებას სიმღერაში «Azərbaycana gəlsin» (გთხოვთ, გვეწვიოთ აზერბაიჯანში“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ბალეტ „ლეგენდა სიყვარ-ულზე.“

თემა 17

## ორატორია და დრამატურგია


იოჰან სებასტიან ბახი


სიმფონიური ორკესტრი, გუნდი, სოლისტები


ვასიფ ადიგეზალოვი

ორატორია წარმოადგენს მსხვილ მუსიკალურ ნაწარმოებს გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის. „ორატორია“ ლათინური სიტყვაა, „ორო“ ნიშნავს – ვლაპარაკობ, ვთხოულობ. ეს ჟანრი წარმოიშვა იტალიაში XVI-XVIIსაუკუნეთა მიჯნაზე, თითქმის კანტატისა და ოპერის თანადროულად. ორატორია ამ ჟანრებთან ახლოს დგას წყობის მიხედვითაც. ორატორია ოპერისაგან განსხვავდება სცენური მოძრაობის არარსებობით, ხოლო კანტატისაგან - დიდი ზომით და განტოტვილი სიუჟეტური ხაზით. ამ ჟანრმა უმაღლეს დონეს გენიალური გერმანელი კომპოზიტორების ი. ს. ბახის, ფ. ჰენდელის, ი. ჰაიდნის, ლ. ვ. ბეთჰოვენის და სხვა ევროპელი კომპოზიტორების შემოქმედებაში მიაღწია.

აზერბაიჯანში ამ ჟანრის შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს ჯანგირ ჯანგიროვმა, ვასიფ ადიგეზალოვმა, რამიზ მუსტაფაევმა, ოქტაი რაჯაბოვმა. ორატორიები – ჯანგირ ჯანგიროვის „საბირი“, ვასიფ ადიგეზალოვის „ყარაბაღ შიკესტესი“, ოქტაი რაჯაბოვის „ჰეიდარი“ და სიმფონია-რექვიემი „ჩინგიზი“, რამიზ მუსტაფაევის „ჰუსეინ ჯავიდი“ ცნობილია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ვასიფ ადიგეზალოვის ორატორია „ყარაბაღ შიკესტესი“ შედგება 7 ნაწილისაგან. ეს ნაწარმოები, რომელიც დაწერილია პოეტ თემურ ელჩინის სიტყვებზე, იწყება ყარაბაღისადმი მიძღვნილი ლექსით. ორატორიის ბოლო ნაწილში კომპოზიტორს მთლიანად აქვს გამოყენებული რიტმული მუღამი „ყარაბაღ შიკესტესი“.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ნაწყვეტი ორატორია „ყარაბაღ შიკესტესის“ VII ნაწილიდან**

*მუსიკა ვასიფ ადიგეზალოვისა,*
*სიტყვები თემურ ელჩინისა.*

მოსმენილ ნაწილთან ერთად ამ ორატორიაში გვაქვს მუსიკალური ნაწყვეტები, რომელიც შედგება საგუნდო, ვოკალური და სიმფონიური ფრაგმენტებისაგან.

როგორც ვხედავთ, მუსიკისა და ტექსტის ერთიანობა, რომელიც თანდათანობით ავითარებს ორატორიის დრამატურგიას, მთავრდება ფინალური გუნდის „ყარაბაღ შიკესტესის“ საზეიმო შესრულებით.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ნაწყვეტი რიტმული მუღამიდან „ყარაბაღ შიკესტესი“**

*საშუალო ტემპით*



*გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა*

**QEYRƏT MARŞI (ღირსების მარში)**

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები გადირფაშა ელსევერისა.*

I

Biz gedirik döyüşə,
Xidmət üçün haqq işə.
Düşmən alıb payını,
Yaman düşüb təşvişə.

*მისამღერი:*
Möhkəm duraq, and içək,
Vuruşaq biz kişi tək.
Azad olsun yurdumuz,
Gülə dönsün gələcək.

II

Düşmən yaman xəbisdir,
Namərd, alçaq, iblisdir.
Allah özü bilir ki,
Məramımız təmizdir.

*მისამღერი:*
Möhkəm duraq, and içək,
Vuruşaq biz kişitək.
Azad olsun yurdumuz,
Gülə dönsün gələcək.

**კითხვები**

1. რა არის ორატორია და სად წრმოიშვა იგი?
2. რომელმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა დაწერეს ნაწარმოებები ორატორიის ჟანრში?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Гейрят маршы» („ ღირსების მარში“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ორატორიის ჟანრის შესახებ

თემა 18

## დრამატურგია აშრაფ აბასოვის ბალეტისა „შავტუხა“



*აშრაფ აბასოვი*

ბალეტი „შავტუხა“ 1963 წელს შექმნა სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა აშრაფ აბასოვმა ცნობილი აზერბაიჯანელი დრამატურგის სულეიმან სანი ახუნდოვის მოთხრობის „საშინელი ზღაპრების“ მიხედვით.

ბალეტის ლიბრეტოს ავტორია ცნობილი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი აფრასიაბ ბადალბეილი. ეს ბალეტი გახდა პირველი დიდი მუსიკალური ნაწარმოები ბავშვებისათვის.



*სულეიმან სანი ახუნდოვი*

ნაწარმოების შინაარსი ასეთია: მებაღე ბაბუა პირის ქოხში ცხოვრობს ობოლი გოგონა, სახელად შავტუხა. პირი-ბაბას იგი საკუთარი შვილიშვილივით უყვარს და მასზე ზრუნავს. ერთხელ სახლის პატრონის ქალიშვილი აღჯა ეზოში სეირნობდა, დაინახა შავტუხა და ისინი დამეგობრდნენ. მაგრამ აღჯას დედა, უგულო ქალი, უკრძალავს მას შავტუხასთან მეგობრობას. აღჯა მხოლოდ მამის დახმარებით ხვდება ხანდახან შავტუხას. ბატონების ნადიმის დროს აღჯა შავტუხასთან ცეკვავს, რაც დედის განრისხებას იწვევს. შავტუხას და აღჯას მეგობრობა არც მებაღე პირის მოსწონს. მან კარგად იცის, როგორ უყურებენ ბატონები ამ მეგობრობას და რა შეიძლება გამოიწვიოს ამან. ერთხელ შავტუხა აღჯას ოთახში შეიპარება და აღჯას უყვება მას, როგორ დაკარგა მშობლები მიწისძვრის დროს, როგორ იშვილა ბოშა იასემენმა, იასემენის სიკვდილის შემდეგ კი როგორ გამოაგდო იასემენის ქმარმა. შავტუხას მონაყოლი აღჯას შეძრავს.



*ფრაგმენტი ბალეტიდან „შავტუხა“*

გოგონების მეგობრობას სამწუხარო დასასრული აღმოაჩნდება, როგორც პირი-ბაბა ვარაუდობდა. შავტუხას საყვარელ მეგობარს აღჯას გველი უკბენს. შავტუხა მას გადაარჩენს, მაგრამ თავად იღუპება გველის შხამით. აღჯა გამოჯანმრთელდება, ხოლო შავტუხა პირი-ბაბას ხელებში დალევს სულს.

### *მოვუსმინოთ მუსიკას*

**აშრაფ აბასოვი. „შავტუხასა და აღჯას დუეტი“ ბალეტიდან „შავტუხა“**

ეს დუეტი შექმნილია „შავტუხას“ ლაიტმოტივის მიხედვით. მაგრამ ეს ლაიტმოტივი შეცვლილ რიტმში ჟღერს და სახუმარო ხასიათი აქვს.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

აშრაფ აბასოვი. ბალეტი „შავტუხა“. ნაწყვეტი „ლირიკული ცეკვიდან“ (ორხმიანი)




ამ ლირიკული ხასიათის მელოდიაში გამოყენებულია ინტერვალები – ტერციები.

*ვიმღეროთ სიტყვებით და ნოტების მიხედვით*

**QEYRƏT MARŞI (ღირსების მარში)**

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები გადირფაშა ელსევერისა.*

*მარშის ტემპში*




## კითხვები

1. ვინ არის ავტორი ბალეტისა „შავტუხა“?
2. სულეიმან სანი ახუნდოვის რომელი მოთხრობის მიხედვით შეიქმნა ბალეტი „შავტუხა“?
3. ვინ არის ბალეტ „შავტუხას“ ლიბრეტოს ავტორი?

**დავალება:** მოამზადე მოკლე ზეპირი პრეზენტაცია ბალეტ „შავტუხას“ შესახებ.

თემა 19

## მუსლიმ მაგომაევის ოპერის „შაჰი ისმაილის“ დრამატურგია



*მუსლიმ მაგომაევი*

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა მუსლიმ მაგომაევმა თავისი პირველი დიდი ნაწარმოები ოპერა „შაჰი ისმალი“ დაწერა 1916 წელს ამავე სახელწოდების აზერბაიჯანული დასთანის მიხედვით. ოპერა სცენაზე 1919 წელს დაიდგა. მოგვიანებით მან ცვლილებები განიცადა როგორც მუსიკის, ისე ლიბრეტოს ნაწილში. ოპერის პირველი წარმოდგენა დადგა გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა რეჟისორმა ჰუსეინ არაბლინსკიმ.

ოპერის მოკლე შინაარსი ასეთია: ასლან შაჰი შეშფოთებულია. მისი შვილი ისმაილი, რომელიც ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს, შეიძლება მის ტახტს დაეუფლოს. მზაკვარი ვაზირი ასლან შაჰს წინასწარმეტყველის პირით ამცნობს, რომ მისმა შვილმა შეიძლება მოკლას იგი. შიშით შეპყრობილი ასლან შაჰი თავის ცნობილ არიას ასრულებს. იგი თავის შვილს შორეულ ქვეყნებში გზავნის ახალი მიწების დასაპყრობად. ასლან შაჰს იმედი აქვს, რომ შვილი რომელიმე ბრძოლაში დაიღუპება.

### *მოვუსმინოთ მუსიკას*

**მუსლიმ მაგომაევი. „ასლან შაჰის არია“ ოპერა „შაჰი ისმალის“ I აქტიდან.**

ლაშქრობის დროს შაჰი ისმაილი ხვდება არაბ ტომებს. მას შეუყვარდება ტომის ბელადის ქალიშვილი გიულზარი. გიულზარის მამას იბნ ტაირის სურს, ქალიშვილი აბუ ხაზმს მიათხოვოს, რომელიც გიულზარს არ უყვარს. ამიტომ ქალიშვილის მამა გადაწყვეტს გადასახლდეს სხვა ადგილას. გიულზარი ძლივს ახერხებს თავისი ადგილსამყოფელის შეტყობინებას შაჰ ისმაილისათვის. გიულზარის ძებნისას შაჰი ისმაილი ხვდება არაბ ზენგის და ამარცხებს მას. შაჰი ისმაილიმის მოკვლას დააპირებს, მაგრამ გაიგებს, რომ იგი გოგონაა და შეიწყალებს.



*მუსლიმმაგომაევი.*
*სცენა ოპერიდან „შაჰი ისმაილი“*

### *ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**მუსლიმ მაგომაევი. ოპერა „შაჰი ისმაილი“. ნაწყვეტი „შაჰი ისმაილისა და გიულზარის დუეტიდან“.**

ამ დუეტში გამოყენებულია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის «Эюзялляр эюзяли»მელოდია.




*მოვუსმინოთ მუსიკას*

**მუსლიმ მაგომაევი. „გიულზარისა და ვაჭრის ქორწილი არაბთა ახალ ბანაკში“**

შაჰი ისმაილი ბრძოლებში იმარჯვებს და გიულზართან ერთად ბრუნდება სამშობლოში. ასლან შაჰი გაიგებს შვილის დაბრუნებას. იგი ბრძანებას გასცემს,სიკვდილით დასაჯონ შვილი, რადგან მან არ შეასრულა დავალება. შაჰი შეისმენს გარშემო მყოფთა მუდარას და სიკვდილით აღარ სჯის ახალგაზრდა შვილს, მაგრამ ბრძანებს, თვალები დათხარონ მას. შვილისთვის მიყენებული ტანჯვის გამო აღძრული ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შაჰი ბრძანებს, მოაწყონ ნადიმი. არაბზენგი, რომელიც მოცეკვავის ტანსაცმლითაა შემოსილი, შაჰს საწამლავიან ღვინოს მიაწვდის. ასლან შაჰი კვდება. შაჰი ისმაილი ტახტზე ადის.

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**ŞİRİN DİL (მშობლიური ენა)**

*მუსიკა ემინ საბითოღლუსი,*
*კერკიუკული ბაიათის სიტყვებზე.*

I

Şirin dil, şirin dil,
Al bağrımı, şirin dil.
Nə deyirsə, yad desin,
Öz dilimdi şirin dil.

*მისამღერი:*
Şirin düşər,
Zülf üzə şirin düşər.
Fərhad qaya çapanda,
Yadına Şirin düşər.

II

Şirin dil, şirin dil,
Ana dilim, şirin dil.
Həm təbibdi, həm məlhəm,
Şirin söhbət, şirin dil.

III

Şirin kimi, şirin kimi,
Gözəl söz Şirin kimi.
Sevən gənclər istərəm,
Fərhadla Şirin kimi.

**კითხვები**

1. ვინ დაწერა ოპერა „შაჰი ისმაილი“?
2. ჩამოთვალე ძირითადი სახეები ოპერიდან „შაჰი ისმაილი“.
3. რომელი ხალხის ბაიათის სიტყვები გამოიყენა ემინ საბითოღლუმ სიმღერისათვის «Şirin dil»(„მშობლიური ენა“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია სიმღერის «Şirin dil» („მშობლიური ენა“) შესახებ.

თემა 20

## აფრასიაბ ბადალბეილის ბალეტის „ქალწულის კოშკის“ დრამატურგია



*აფრასიაბ ბადალბეილი*

კომპოზიტორი, დირიჟორი, ლიბრეტისტი, მუსიკის კრიტიკოსი და პუბლიცისტი აფრასიაბ ბადალბეილი ავტორია პირველი აზერბაიჯანული ეროვნული ბალეტისა „ქალწულის კოშკი“, რომელზეც მან მუშაობა დაიწყო 1936 წელს, ხოლო 1940 წლის 18 აპრილს ეს ბალეტი დაიდგა მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. კომპოზიტორი ამავე დროს ბალეტის ლიბრეტოს ავტორიცაა. ცეკვები დადგა გამარ ალმასზადემ. ლიბრეტოს თემად აღებულია ლეგენდა ქალწულის კოშკის შესახებ, რომელიც ჩვენს მშობლიურ ქალაქ ბაქოში მდებარეობს და XII საუკუნის არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. ნაწარმოებში გადმოცემულია თავისუფლებისათვის, სიყვარულისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ამბავი. ბალეტის მოკლე შინაარსი ასეთია: ხანის სასახლე მღელვარებითაა მოცული. ჯაჰანგირ ხანს , რომელიც ვაჟზე ოცნებობდა, ქალიშვილი შეეძინა. ლაშქრობიდან დაბრუნებული ხანი ვაზირს უბრძანებს, მოკლას ჩვილი, ხოლო დედა მოახლედ გაამწესოს. მაგრამ ვაზირმა, რომელსაც ჩვილი შეეცოდა, იგი ძიძას გადასცა და უბრძანა, დაეტოვებინა სასახლე. ბავშვს ხელზე მამის ერთადერთი სახსოვარი აქვს – სამაჯური.



*სცენა ბალეტიდან „ქალწულის კოშკი“*

...გავიდა 18 წელი, გოგონა ენით აღუწერელი სილამაზის პატრონი გახდა. ყოველთვის მხიარული და სიცოცხლით სავსე გიულიანაგი ბედნიერია, – მას უყვარს გულადი ჭაბუკი ფოლადი და მალე მათი სიყვარულით სავსე გულები შეერთდებიან.

ფოლადისა და გიულიანაგის ქორწილია. შუა ქორწილში უცებ გამოჩნდება ხანი თავისი ამალით. გოგონას სილამაზე და მსგავსება მის ცოლთან, რომელიც მან მოახლედ გაამწესა, ხანს ანცვიფრებს. ხანი გადაწყვეტს, რომ გიულიანაგი მას უნდა ეკუთვნოდეს. ფოლადი მზადაა, თავისი სიყვარულის დასაცავად ტირანს შეებრძოლოს. ჯაჰანგირი ბრძანებს, ფოლადი დასაჯონ. ფოლადის გადასარჩენად გიულიანაგი თანხმობას აცხადებს, ხანის სურვილი შეასრულოს, მაგრამ ერთი პირობით: ხანმა უნდა აუშენოს კოშკი, რომელსაც ოთხივე მხრიდან ზღვა ექნება შემორტყმული. ხანი დათანხმდება.



*ქალწულის კოშკი*

ბოლოს კოშკის მშენებლობა დამთავრდება და ხანი ბრძანებს, ქორწილისთვის მოემზადონ. ხანს შეატყობინებენ, რომ გიულიანაგი მისი ქალიშვილია. ხანს არა სჯერა. ფოლადი შეებრძოლება ხანს, მოჰკლავს მას და მაშინვე კოშკს მიაშურებს. გიულიანგი მის ფეხისხმას რომ გაიგონებს, ხანი ეგონება და კოშკიდან ზღვაში გადაეშვება...

თემა 20

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**აფრასიაბ ბადალბეილი. „ადაჯიო“ ბალეტ „ქალწულის კოშკის“ I აქტიდან.**

ეს მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც კლასიკური აზერბაიჯანული მუღამის „შუშტერის“ საფუძველზეა შექმნილი, ბალეტის ძირითად სასიყვარულო ლაიტმოტივს წარმოადგენს. სამნაწილიანი „ადაჯიოს“ შუა ნაწილში ვალსის ნაზი მელოდია ჟღერს.



*გიულიანბგისა და ფოლადის „ადაჯიო“ ბალეტიდან „ქალწულის კოშკი“*

*ვიმღეროთ ორ ხმაში ნოტების მიხედვით*

**ნაწყვეტი ვალსის ხასიათის მუსიკიდან, რომელიც „ადაჯიოში“ ჟღერს.**




ეს მელოდია თავისი ინტონაციებით აზერბაიჯანული ხალხური ცეკვის „ჯიგჯიგის“ მუსიკის მსგავსია.

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**QIZ QALASI (ქალწულის კოშკი)**

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები სევინჯ ნურუგიზისა.*

I

Qız qalası, daşlarını
Oxşamışam dönə-dönə.
Qız qalası, danış sevgi
Nağılını mənə yenə.
Qız qalası, danış mənə,
Əsrlərin o üzündən.
Danış Vətən tarixinin
Gecəsindən, gündüzündən.

*მისამღერი:*
Bakımıza sevgimizin,
Qalasısan, Qız qalası.
Neçə-neçə nəsillərə,
Qalasısan, Qız qalası.

II

Daş sinənə çırpılıbdır,
Dalğaları Xəzərimin.
Sən ucalan heykəlisən,
Əvvəlimin, əzəlimin.
Divarına hörülübdür,
Həqiqətim, Qız qalası.
Bakım boyda sədaqətim,
Məhəbbətim, Qız qalası.

**კითხვები**

1. ვინ არის ავტორი ბალეტისა „ქალწულის კოშკი“?
2. რომელი დასთანის საფუძველზეა დაწერილი ბალეტი „ქალწულის კოშკი“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Qız qalası» („ქალწულის კოშკი“)?

**დავალება:** დახატე სურათი ქალწულის კოშკის გამოსახულებით.

თემა 21

## მუსა მირზოევის „რომანტიკული ვალსი-პოემის“ და იოჰან შტრაუსის „ვენის ტყის ზღაპრების“ დრამატურგია



*იოჰან შტრაუსი-შვილი*



*მუსა მირზოევი*

სახალხო არტისტმა, პროფესორმა, კომპოზიტორმა მუსა მირზოევმა თავისი „რომანტიკული ვალსი-პოემა“ 1963 წელს შექმნა. ამ ნაწარმოების პირველი შემსრულე-ბლები იყვნენ ცნობილი დირიჟორი იური სილანტიევი და პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის დიდი სიმფონიური ორკესტრის დირიჟო-რი ვლადიმერ ფედოსეევი. ეს ნაწარმოები დაწერილია დიდი სიმებიანი ორკესტრისათვის. ნაწარ-მოების ძირითად თემას დასაწყისში ასრულებენ I ვიოლინოები, შემდეგ კი II ვიოლინოები. რეპრიზაში ძირითად თემას აჟღერებენ ალტები და ვიოლონჩელოები. ნაწარმოებში ვლინდება სონატის წყობის ელემენტები. მუსიკაში პოემის ჟანრის შემოტანა რამდენიმე მიზანს ისახავს. ერთი მათგანია ლირიკული ხასიათის ნაწარმოების შექმნა ინსტრუმენტული შესრულებისათვის. ასეთ ნაწარმოებს უწოდებენ ვალს-პოემას. მუსა მირზოევის „რომანტიკული ვალსი-პოემა“ დაწერილია ვალსის ტემპში, ტაქტის ზომით 3/4.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**მუსა მირზოევი. ნაწყვეტი ნაწარმოებიდან „რომანტიკული ვალსი-პოემა“**

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომლის ყველა წევრი ძალიან ნიჭიერი იყო. ეს იყო შტრაუსების ოჯახი. ვალსის ჟანრის ფუძემდებელს იოჰან შტრაუსს ჰყავდა სამი ვაჟი. უფროს ვაჟს ოჯახში ასევე იოჰანს ეძახდნენ. მამა და სამივე ვაჟი თავისი დროის ცნობილი მუსიკოსები იყვნენ. როდესაც იოჰან შტრაუსმა-შვილმა თავისი პირველი კონცერტი გამართა, მამა-შტრაუსი 40 წლის იყო, ხოლო ვაჟი – 20 წლის. იოჰან შტრაუს-შვილს პირველმა კონცერტმა მთელ ქვეყანაში გაუთქვა სახელი. ვალსი „ვენის ტყის ზღაპრები“ მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია მსოფლიოში. ამ ნაწარმოების ძირითადი თემის მოტივს კომპოზიტორი ბულბულის ჭიკჭიკს დაესესხა.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**იოჰან შტრაუსი. ვალსი „ვენის ტყის ზღაპრები“. ნაწყვეტი ძირითადი მელოდიიდან.**

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**მუსა მირზოევი. ნაწყვეტი „რომანტიკული ვალსი-პოემიდან“**



## თემა 21

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**იოჰან შტრაუსი. ვალსი „ვენის ტყის ზღაპრები“. ნაწყვეტი ძირითადი მელოდიიდან.**

მუსა მირზოევის „რომანტიკული ვალსი-პოემა“

**სრულდება ვალსის ტემპში**

ი. შტრაუსის ვალსი „ვენის ტყის ზღაპრები“

*განსხვავებანი*

1. დაწერილია სიმებიანი ორკესტრისათვის.
2. გათვალისწინებულია მოსმენისათვის.
3. არაპროგრამული მუსიკაა.

*მსგავსება*

*განსხვავებანი*

1. დაწერილია სიმფონიური ორკესტრისათვის.
2. გათვალისწინებულია მოსმენისა და ცეკვისათვის.
3. პროგრამული მუსიკაა.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ქალწულის კოშკი**

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები სევინჯ ნურუგიზისა.*




### კითხვები

1. ვინ არის ავტორი „რომანტიკული ვალსი-პოემისა“?
2. ვინ არის ავტორი ვალსისა „ვენის ტყის ზღაპრები“?
3. რა მსგავსებაა „რომანტიკულ ვალს-პოემასა“ და ვალსს „ვენის ტყის ზღაპრებს“ შორის?

დავალება: დახატე სურათი, რომელიც ეძღვნება ნოვრუზის დღესასწაულს.

თემა 22-23

## განვლილი თემების განმეორება

*ოპერებისა და ბალეტების წარმოდგენილი ფრაგმენტების მიხედვით გამოიცანი ნაწარმოებების სახელწოდებები.*








*მოსწავლეთა სურვილის მიხედვით გავიხსენოთ ნასწავლი სიმღერები.*

## ტ ე ს ტ ე ბ ი

*1. ვინ არის ავტორი ოპერისა „შაჰ ისმაილი“?*
ა) უ. ჰაჯიბეილი ბ) ა. მელიქოვი გ) მ. მაგომაევი

*2. ვინ არის ავტორი ბალეტისა „შავტუხა“?*
ა) ფ. ამიროვი ბ) ჯ. ჯანგიროვი გ) ა. აბასოვი

*3. ვინ არის ავტორი ბალეტისა „ლეგენდა სიყვარულზე“?*
ა) ყ. ყარაევი ბ) ა. მელიქოვი გ) ჯ. ჯანგიროვი

*4. რა ჰქვია მსახურს ოპერეტაში „არშინ მალ ალან“?*
ა) ჰასანი ბ) ველი გ) პირველი

*5. რა ჰქვია მოახლეს ოპერეტაში „არშინ მალ ალან“?*
ა) ფატმა ბ) ტელი გ) გიულიანაგი

*6. რა სახელწოდებისაა ვასიფ ადიგეზალოვის ორატორია ომის თემაზე?*
ა) „გეიჩეს მელოდიები“
ბ) „ყარაბაღ შიკესტესი“
გ) „შირვანული ბაიათები“

*მოსწავლეებს შეუძლიათ შეასრულონ თითო კუპლეტი ნასწავლი სიმღერებიდან.*

# მუსიკალური დრამატურგია (გაგრძელება)



თემა 24

## სამშობლოს თემა და მუსიკა

მუსიკის სამყაროში ყოველთვის იქმნებოდა სამშობლოსადმი მიძღვნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. ამ თემას თავიანთ ნაწარმოებებში ამუშავებდნენ როგორც აზერბაიჯანელი, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების კომპოზიტორები. ერთ-ერთი ასეთი კომპოზიტორია პოლონეთის ეროვნული მუსიკის წარმომადგენელი მიხაილ კლეოფას ოგინსკი.

მიხაილ ოგინსკი ცხოვრობდა და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა ფრედერიკ შოპენზე ადრე. ფრედერიკ შოპენსა და მიხაილ ოგინსკის ერთმანეთთან აკავშირებს უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი, მისი კულტურის, ხელოვნების, მუსიკისადმი. მიხაილ ოგინსკი ამავე დროს თავისი დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეც იყო. 1794 წელს კომპოზიტორმა მთელი თავისი ქონება გადასცა რევოლუციონერებს, რათა დახმარებოდა მათ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ დიდმა კომპოზიტორმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებთან ერთად დატოვა თავისი სამშობლო. პირველი ნაწარმოები, რომელიც მან უცხო მიწაზე დაწერა, იყო მისი ცნობილი პოლონეზი „გამოთხოვება სამშობლოსთან". ეს ნაწარმოები მსოფლიოში ცნობილია, როგორც „ოგინსკის პოლონეზი".



*მიხაილ ოგინსკი*



*ფრაგმენტი პოლონეზიდან „გამოთხოვება სამშობლოსთან"*

*ეს უნდა იცოდეთ*

პოლონეზი – ძველი პოლონური ხალხური ცეკვაა. მისი ტაქტის-ზომაა 3/4. ევროპულ ქვეყნებში პოლონეზმა ფართო პოპულარობა XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოიპოვა. პოლონელმა კომპოზიტორმა ფრედერიკ შოპენმა მრავალი პოლონეზი დაწერა ფორტეპიანოსათვის.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**მიხაილ ოგინსკი. პოლონეზი „გამოთხოვება სამშობლოსთან"**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები ფორტეპიანოსთვისაა დაწერილი, მოგვიანებით იგი მსოფლიოს მუსიკალურ სალონებში აჟღერდა სიმფონიური ორკესტრისათვის დამუშავებული სახით. „ოგინსკის პოლონეზი" აზერბაიჯანშიც შეიყვარეს. იგი სრულდებოდა თარზე და ფორტეპიანოზე ცნობილი აზერბაიჯანელი მუსიკოსების, მათ შორის თარისტების – სახალხო არტისტების ჰაჯი მამედოვის, რამიზ ყულიევის და სხვების მიერ.

თემა 24

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*
**მიხაილ ოგინსკი. ნაწყვეტი პოლონეზიდან „გამოთხოვება სამშობლოსთან“**




*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**აზერბაიჯანი**

*მუსიკა ემინ საბითოღლუსი,*
*სიტყვები ბახტიარ ვაგაბზადესი.*

I

Azərbaycan, sənsən mənim
Ülviyyətim, şan-şöhrətim!
Adın mənim öz adımdır,
Sənsiz mənim nə qiymətim,
Azərbaycan, Azərbaycan!

*მისამღერი:*
Biz tarixə sığınmadıq,
Dünən vardıq, bu gün varıq.
Biz dostluğa güvənərək
Gələcəyə addımlarıq,
Azərbaycan, Azərbaycan!

II

Nəfəsimiz Babəklərin,
Sabirlərin od nəfəsi.
Mahnımızda yaşar bizim
Babaların addım səsi,
Azərbaycan, Azərbaycan!

III

Azərbaycan, mənim eşqim,
Mənim andım, mənim anam.
Mən də sənin bir parçanam,
Azərbaycan, Azərbaycan!

სიმღერა "აზერბაიჯანი" ჟღერს, სრულდება ნელი ტემპით, Yalli სტილი.

სიმღერა ეძღვნება ჩვენს ქვეყანას - აზერბაიჯანს.

**კითხვები**

1. რა იცი პოლონეზის ჟანრის შესახებ?
2. რომელი ხალხის წარმომადგენელია მიხაილ ოგინსკი?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „აზერბაიჯანი“?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე – „ჩემი საყვარელი სიმღერა, დაწერილი პატრიოტული სულისკვეთებით“.

თემა 25

## დრამატურგია ფიქრათ ამიროვის ოპერისა „სევილი“



*ჯაფარ ჯაბარლი*

ფიქრათ ამიროვის ოპერა „სევილი“, რომელიც ჯაფარ ჯაბარლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვითაა შექმნილი, ეძღვნება აზერბაიჯანელი ქალების ბრძოლას თავისუფლებისათვის. ბანკის თანამშრომელს, ბალაშს, რომელიც გლეხის ოჯახიდანაა წარმოშობით, სურვილი აქვს მოხვდეს უმაღლეს საზოგადოებაში. ოჯახი ხელს უშლის მას. იგი უკვე სხვანაირად ექცევა ცოლს, მოხუც მამას. მისი უხეშობა ტანჯავს სევილს. ბალაში სტუმრად იწვევს დილბერს, აბდულალიბეკს და მამედალიბეკს, რომლებიც მეშჩანურ ცხოვრებას ეწევიან. ამ დროს მასთან სოფლიდან ჩამოდის სევილის მამა ბაბაკიში, რაც აღიზიანებს ბალაშს. იგი ბაბაკიშს, ატაკიშს და სევილს სახლიდან აძევებს. ბალაში გატაცებულია მხოლოდ დილბერით. ვითარება სხვაგვარად წარიმართება. დილბერი, რომელიც ბალაშის სახლში ჩასახლდება, მის ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევს. ბალაშს ათავისუფლებენ ბანკიდან. ახლა მთელი მისი გარემოცვა – დილბერი და მისი მეგობრები – მას უკვე აბუჩად იგდებენ. სევილი მოდის სახლში შვილის სანახავად, მაგრამ იმდენად დასუსტებულია, რომ სახლის ზღურბლთან კარგავს გრძნობას. მას შეიყვანენ სახლში. გონზე მოსული სევილი გულში იკრავს შვილს. ამ დროს დილბერი ბალაშისაგან მოითხოვს სევილის გაგდებას. აღშფოთებული სევილი იხსნის ჩადრს და ტოვებს სახლს.

გავა წლები... ბალაშის დის გიულიუშის სახლში დაბადების დღეს უხდიან გიუნდიუზს. ატაკიში და ბაბაკიშიც აქ არიან. დაბადების დღეზე მოდიან ბალაში, დილბერი და მისი მეგობრები.გიუნდიუზი ვერ ცნობს მამას. ბალაში ძალიანაა შეცვლილი. იგი პატიებას სთხოვს სევილს, რომელმაც განათლება მოსკოვში მიიღო. სევილი ეუბნება, რომ არასდროს აპატიებს.



*ქანდაკება „თავისუფალი ქალი“*

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ფიქრათ ამიროვი. „ბალაშის არია“ ოპერა „სევილის“ III აქტიდან**

### *ეს უნდა იცოდეთ*

გამოჩენილ აზერბაიჯანელ კომპოზიტორს ფიქრათ ამიროვს სერიოზულ ჟანრებში შექმნილ ნაწარმოებებთან ერთად, დაწერილი აქვს მრავალი საბავშვო სიმღერა. მის სიმღერებს – „თანამგზავრი“, „ჩვენი ეზო“, „ცეცხლთა ქვეყანა“, „მატარებელი“, „ჩემი ბატკანი“ – უკვე დიდი ხანია, სიყვარულით ასრულებენ ბავშვები.

### *ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

ფიქრათ ამიროვი. ნაწყვეტი „სევილის სიმღერიდან“, ოპერა „სევილის“ II აქტიდან




ეს არია ჟღერს ჰარმონიულ ტონალობა დო-მინორში, მუღამ „შუშტერის“ მელოდიის საფუძველზე.

დო მინორი ჰარმონიული სახით:



### *შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

ფიქრათ ამიროვი.
„ატაკიშის კუპლეტები“ ოპერიდან „სევილი“

I

Ay sənə qurban inəklər,
Balam nə vaxt iməklər?!
Sənə qurban inəklər,
Balam nə vaxt iməklər?!

II

Ay sənə qurban sərçələr,
Bu balam nə vaxt dirçələr?!
Sənə qurban sərçələr,
Balam nə vaxt dirçələr?!

III

Ay sənə qurban alçalar,
Balam nə vaxt əl çalar?!
Gündüz balam əl çalar,
Gözəl qızlar oynayar, hey!

#### კითხვები

1. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ოპერა „სევილი“?
2. რომელი მუღამის საფუძველზე ჟღერს „სევილის სიმღერა“?
3. ფიქრათ ამიროვის რომელი საბავშვო სიმღერები იცი?

**დავალება:** დახატე სურათები „ატაკიშის კუპლეტების“ შინაარსის მიხედვით.

თემა 26

## კავშირი ორ მუსიკალურ ნაწარმოებს შორის: „დილბერის სიმღერა“ ფიქრათ ამიროვის ოპერიდან „სევილი“ და „ჰაბანერა“ ჟორჟ ბიზეს ოპერიდან „კარმენი“

ოპერა „სევილის“ ერთ-ერთი მთავარი გმირია მეშჩანი ქალი დილბერი. იგი თავისუფლად იქცევა, ნებისმიერი მეთოდით ცდილობს სასურველის მიღწევას. კომპოზიტორმა ფიქრათ ამიროვმა დილბერის შინაგანი ბუნების გასახსნელად დაწერა „დილბერის სიმღერა“, სადაც გამოიყენა არგენტინული ხალხური ცეკვის, ტანგოს რიტმები.

ამ არიაში კომპოზიტორმა მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებებით შეძლო დილბერის, როგორც მეშჩანი ქალის, სახის გახსნა, რომელიც წვრილმან ვნებებსა და სურვილებსაა აყოლილი, მამაკაცებთან საკმაოდ თავქარიანად და თამამად იქცევა.



*დილბერის სახე ოპერიდნ „სევილი“*



*კარმენის სახე ოპერიდან „კარმენი“*

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ფიქრათ ამიროვი. „დილბერის სიმღერა“ ოპერიდან „სევილი“**

როგორც ვხედავთ, კომპოზიტორმა ფიქრათ ამიროვმა დილბერის სახის გასახსნელად დაწერა ირონიული და საკმაოდ სახუმარო ფორმის მელოდია ევროპულ სტილში. ასეთივე საშუალებებით ხსნის იგი ბალაშის ტრაგედიასაც. კომპოზიტორი გვიჩვენებს, რომ ბალაში, რომელმაც ბედი დილბერს დაუკავშირა, მიექანება უფსკრულში.



*ჟორჟ ბიზე*

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ჟორჟ ბიზე. „ჰაბანერა“ ოპერიდან „კარმენი“**

ოპერა „კარმენი“ ფრანგმა კომპოზიტორმა ჟორჟ ბიზემ დაწერა პროსპერ მერიმეს ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით. როგორც დილბერი ოპერიდან „სევილი“, ბოშა ქალი კარმენიც ცდილობს ნებისმიერი გზით მიიქციოს ყურადღება. იგი თავბრუს ახვევს ხოზეს, აიძულებს მას, გაეყაროს მის შეყვარებულ მიქაელას. კარმენის მიზეზით ხოზეს უბედურება შეემთხვევა. მას აპატიმრებენ, ამის შემდეგ იგი კონტრაბანდისტებს უკავშირდება. ბოლოს კარმენისაგან უარყოფილი ხოზე კლავს მას, რის გამოც თავისუფლებას აღუკვეთენ.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ჟორჟ ბიზე. ოპერა „კარმენი“. ნაწყვეტი „ჰაბანერადან“**




როგორც ვხედავთ, „ჰაბანერას“ მელოდია ჟღერს ჰარმონიულ რე-მინორში ტონალობაში.

რე მინორი ჰარმონიული სახით:



### *ეს უნდა იცოდეთ*

„ჰაბანერა“ კუბელი მეზღვაურების სიმღერაა. „ჰაბანერა“ კუბური ხალხური ცეკვაცაა. თავისი რიტმით ეს ცეკვა ჰგავს ტანგოს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში „ჰაბანერა“ დიდი სიყვარულით სარგებლობდა ლათინურ ამერიკაში.

*გავიხსენოთ სიმღერა და ვიმღეროთ ორ ხმაში*

**ODLAR ÖLKƏSİ** (ცეცხლთა ქვეყანა)

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა,*
*სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა.*

I

Qəlbini ucaltmış göyə məşəltək,
Bakıdır köksündə döyünən ürək,
Gülür gözlərində böyük gələcək,
Eşitsin obalar, ellər bu səsi,
Bu gün bayram edir Odlar ölkəsi.

II

Dostluğun eşqiylə ucalırıq biz,
Gül açır, bar verir diləklərimiz,
Bir vurur hər zaman ürəklərimiz,
Sevinclə ötüşür onun hər anı.

*მისამღერი:*
Dillərdə dolaşır şöhrəti, şanı
Zəfərlər ucaldır Azərbaycanı.

### კითხვები

1. რომელ ხალხს ეკუთვნის ცეკვა „ჰაბანერა“?
2. რომელ ჟანრს ეკუთვნის „დილბერის სიმღერა“ და „ჰაბანერა“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Odlar ölkəsi» (ცეცხლთა ქვეყანა“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია სიმღერაზე «Odlar ölkəsi» („ცეცხლთა ქვეყანა“).

თემა 27

## დიდი სამამულო ომის სახე მუსიკაში



დიმიტრი შოსტაკოვიჩი



ალექსანდრ ალექსანდროვი

1945 წლის 9 მაისს ბერლინში ხელმოწერილ იქნა უსიტყვო კაპიტულაციის აქტი, რომელიც ადასტურებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ჰიტლერულ გერმანიაზე. სხვა საბჭოთა ხალხთან ერთად ეს იყო აზერბაიჯანელი ხალხის გამარჯვებაც. მტერზე გამარჯვების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა 416-ე დივიზიამ, რომელიც ფორმირებული იყო აზერბაიჯანელებისაგან. ომის დროს დაიღუპა 20 მილიონი ადამიანი, დაინგრა და განადგურდა ქალაქები და სოფლები, კულტურის ძეგლები. არმიის გვერდით ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ აღდგა ინტელიგენციაც – პოეტები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები. შეიქმნა სიმღერები, მსხვილი მუსიკალური ნაწარმოებები, რომელიც გამსჭვალული იყო მტრისადმი სიძულვილით, პატრიოტული და საბრძოლო სულისკვეთებით. ალექსანდრ ალექსანდროვის სიმღერა „წმინდა ომი“, დიმიტრი შოსტაკოვიჩის მე-7 სიმფონია, ყარა ყარაევისა და ჯოვდათ გაჯიევის ოპერა „სამშობლო“, უზეირ ჰაჯიბეილის საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული სიმღერები და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც ომის წლებში შეიქმნა, ჩვენს ჯარისკაცებს თავდადებისა და სიმამაცისათვის აღანთებდა.



ალექსანდრ ლაკტიონოვი. „წერილი ფრონტიდან“

### ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

**წმინდა ომი**

*მუსიკა ალექსანდრ ალექსანდროვისა,*
*სიტყვები ვასილ ლებედევ-კუმაჩისა.*

საზეიმოდ



*გავიხსენოთ და მოვუსმინოთ მუსიკას*

**დიმიტრი შოსტაკოვიჩი. ეპიზოდი „თავდასხმა“ „მე-7 სიმფონიიდან“**

XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასწყისში აზერბაიჯანელი კომპოზიტორები თავიანთ შემოქმედებაში განაგრძობდნენ დიდი სამამულო და ყარაბაღის ომის თემების ასახვას, მათ შექმნეს სხვადასხვა ჟანრის შესანიშნავი მუსიკალური ნიმუშები.მათ შორის შეიძლება აღინიშნოს ყარაბაღის მოვლენებისადმი მიძღვნილი ოპერა „ინტიზარი“ მსოფლიოში სახელგანთქმული აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ფირანგიზ ალიზადესი, 20 იანვრის ტრაგიკული მოვლენებისდმი მიძღვნილი სიმფონია „ბაქო-90“ სახალხო არტისტის აზერ რზაევისა, სიმფონია-რექვიემი „ჩინგიზი“ ოქტაი რაჯაბოვისა და სხვ.

*შევისწავლოთ ახალ სიმღერა*

**HƏRBİ AND (საბრძოლო ფიცი)**

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები სეირან შიხალიევისა.*

I

Bayrağın altında durub fərağat,
Əlimdə avtomat and içirəm mən.
Səsim titrəsə də, böyük bir qüvvət,
Əzəmət duyuram hər bir kəlmədən.

*მისამღერი:*
Mən and içirəm ki, ana yurdumun,
Üstünü buludlar almasın mənim.
Mən and içirəm ki, mətin ordumun,
Cərgəsi seyrəlmiş olmasın mənim.

II

Hər sözü vüqarla təkrar edərək,
Əlimdə silahı möhkəm sıxıram.
Sinəmdə şiddətlə vursa da ürək,
Andı söyləyirəm mən aram-aram.

*მისამღერი:*



**კითხვები**

1. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „წმინდა ომი“?
2. რომელ სიმფონიაშია ეპიზოდი „თავდასხმა“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Hərbi and» („საბრძოლო ფიცი“)?

**დავალება:** გაიხსენე და იმღერე ერთ-ერთი შენთვის ნაცნობი სიმღერა საბრძოლო პატრიოტიზმის თემაზე.

თემა 28

## დრამატურგია ჯოვდათ გაჯიევის სიმფონიური პოემისა „მშვიდობისათვის“

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჯოვდათ გაჯიევის სიმფონიური პოემა „მშვიდობისათვის“ დაიწერა 1951 წელს. იმავე წელს იგი პირველად აჟღერა აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა ცნობილი დირიჟორისა და კომპოზიტორის ნიაზის ხელმძღვანელობით.

მოგვიანებით ეს ნაწარმოები შესრულდა რუსეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების მუსიკალურ სალონებში. ამ ნაწარმოებისათვის კომპოზიტორს მიენიჭა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. სიმფონიური პოემა „მშვიდობისათვის“ ეძღვნება ჩენი დროის აქტუალურ თემას - ბრძოლას თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისათვის.

ნაწარმოებში ჯოვდათ გაჯიევი შეეხო იმ დროის მნიშვნელოვან პრობლემებს და იგი ლირიკულ-დრამატული ფორმის მუსიკით გადმოსცა. ეს მუსიკა მოუწოდებს მთელ კაცობრიობას თავისუფლებისა და აყვავებისათვის აქტიური ბრძოლისაკენ, ოკუპანტების მიერ ჩაგვრის წინააღმდეგ.



*სიმფონიური ორკესტრი*

ნაწარმოები იწყება ფანფარული ხასიათის თემით. სიმფონიური პოემის ძირითადი თემა გვაგონებს აშუღურ მუსიკას, ჟღერს ჩქარ ტემპში. თანამდევი თემა თავისი ხასიათით კონტრასტულია ძირითადი თემისადმი. საზეიმო სვლა სიმფონიური პოემის ფინალურ ნაწილში განასახიერებს სახალხო ერთიანობას, შეკავშირებას.

### *ეს უნდა იცოდეთ*

ფანფარა ლითონის მუსიკალური ინსტრუმენტია.შედის ჩასაბერი ინსტრუმენტების ჯგუფში. ძირითადად გამოიყენება აქცენტის გადასაცემად. ფანფარას უწოდებენ ასევე საზეიმო და სამხედრო ხასიათის მუსიკალურ ფრაზებს. ეს მუსიკალური ფრაზები სრულდება მუსიკალური ინსტრუმენტის – ფანფარას საშუალებით.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**ჯოვდათ გაჯიევი. სიმფონიური პოემა „მშვიდობისათვის“. ნაწყვეტები შესავალი ნაწილიდან, ძირითადი და თანამდევი თემებიდან.**

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ჯოვდათ გაჯიევი. სიმფონიური პოემა „მშვიდობისათვის“. ნაწყვეტი ძირითადი თემიდან**




ვიმღეროთ კიდევ ერთი პატარა ნაწყვეტი სიმფონიური პოემის მელოდიისა, რომელშიც გამოყენებულია კლასიკური მუღამის „სეგიახის“ ინტონაციები.




*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**საბრძოლო ფიცი (HƏRBİ AND)**

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები სეირან შიხალიევისა.*




**კითხვები**

1. როდის დაიწერა ჯოვდათ გაჯიევის სიმფონიური პოემა „მშვიდობისათვის“?
2. როგორი ხასიათის თემით იწყება სიმფონიური პოემა „მშვიდობისათვის“?
3. როგორი ხასიათისაა სიმღერა „საბრძოლო ფიცი“?

**დავალება:** მოამზადე მცირედი ზეპირი პრეზენტაცია სიმფონიური პოემის შესახებ „მშვიდობისათვის“.

თემა 29

## დრამატურგია მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტისა“ და ყარა ყარაევის ამავე სახელწოდების მუსიკალური გრავიურებისა



*მიგელ დე სერვანტესი*

აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა დაწერა მუსიკა კინოფილმისათვის „დონ კიხოტი“, რომელიც გადაიღო რუსმა რეჟისორმა გ. კოზინცევმა ცნობილი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტესის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. შემდგომში ყარა ყარაევმა ამ ფილმის მუსიკის საფუძველზე შექმნა სიმფონიური გრავიურები „დონ კიხოტი“.

რომანში დონ კიხოტი წარმოდგენილია, როგორც წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე რთული პერსონაჟი. ერთი მხრივ, იგი პატივმოყვარე ადამიანია, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის, მეორე მხრივ კი მებრძოლი ჰუმანისტი. დონ კიხოტს არ შეუძლია განახორციელოს თავისი ჰუმანისტური იდეები, როგორც ფეოდალური წეს-წყობილების, ისე ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩარჩოებში. მივაქციოთ ყურადღება რომანის სახეებს: დონ კიხოტი, სანჩო პანსა, დულსინეა. ეს სახეები შეესაბამება ესპანელი ხალხის სამ ხასიათს: გრძნობათა სიდიადე, მეოცნებეობა და პრაქტიკულობა.

ყარა ყარაევის ნაწარმოებში ჩვენ ასევე ვხვდებით სამ სახეს: დონ კიხოტი, სანჩო პანსა და ალდონსა. თუ სერვანტესის რომანში დონ კიხოტის სახეს გარკვეული კომიზმი ახასიათებს, ყარა ყარაევის დონ კიხოტში ეს შტრიხი არ არსებობს. ყარა ყარაევის დონ კიხოტი – ესაა ადამიანი, რომელიც გამუდმებით იბრძვის სამართლიანობისათვის, იტანჯება, აპროტესტებს და ბოლოს კვდება. სიმფონიური ციკლი „დონ კხოტი“ შედგება ცალკეული გრავიურებისაგან – „მოგზაურობა“, „ალდონსა“, „სანჩოპანსა“, „პავანა“, „კავალკადა“. „კავალკადა“ და „პავანა“ ერთმანეთის კონტრასტულები არიან. სიმფონიური ციკლი მთავრდება გრავიურით „დონ კიხოტის სიკვდილი“. ეს გრავიურა სიმფონიური ციკლის ერთგვარი დასკვნითი აქტია.



*ბორის ივანოვი.*
*„დონ კიხოტი“*

თემა 29

*ეს უნდა იცოდეთ*

მიგელ დე სერვანტესის განთქმული რომანის „დონ კიხოტის“ მთავარ გმირს სინამდვილეში ჰქვია არა დონ კიხოტ ლამანჩელი, არამედ ალონსო კიხანო. დონ კიხოტი მისი მეტსახელია.

*მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

**ყარა ყარაევი. „ალდონსა“ სიმფონიური გრავიურებიდან „დონ კიხოტი“.**




*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**İSTİQLAL BAYRAMI — MAY!**

***(დამოუკიდებლობის დღესასწაული - მაისი!)***

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები აჰმედ ჯავადისა.*

I

Vaxtı ötür qulların,
Birləşmiş yoxsulların.
Əməkçi oğulların,
İstiqlal bayramı — May!

*მისამღერი:*
Oyankı yorğunların,
Buyankı milyonların,
Həm bizim, həm onların,
İstiqlal bayramı — May!

II

Dünyanı tutdu şanın,
Ey doğacaq dünyanın,
Ey gələcək insanın,
İstiqlal bayramı — May!

III

Qüvvətlidir qolların,
Uğurludur yolların,
Həqiqi sənətkarın,
İstiqlal bayramı — May!

**კითხვები**

1. როგორი სახეებია შექმნილი მიგელ დე სერვანტესის ნაწარმოებში „დონ კიხოტი“?
2. რა ნაწილებისაგან შედგება ყარა ყარაევის სიმფონიური გრავიურები „დონ კიხოტი“?
3. რომელი გრავიურით მთავრდება სიმფონიური ციკლი „დონ კიხოტი“?

**დავალება:** აღწერე დონ კიხოტის სახე ისე, როგორც შენ წარმოგიდგენია.

თემა 30

## რესპუბლიკის დღე




1918 წლის 28 მაისი მუსულმანურ აღმოსავლეთში პირველი საერო დემოკრატიული სახელმწიფოს – აზერბაიჯანის დემოკრატიული (სახალხო) რესპუბლიკის გამოცხადების დღეა. 1990 წლიდან 28 მაისი აღინიშნება როგორც რესპუბლიკის დღე – სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღესასწაული. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მამედ ემინ რასულზადემ, გახდა ნიმუში თურქულ და ისლამურ სამყაროში პირველი საპარლამენტო რესპუბლიკისა და პირველი დემოკრატიული, სამართლებრივი და საერო სახელმწიფოსი.

აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ,განსაკუთრებით დაძაბულ და რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში, არსებობა შეძლო მხოლოდ 23 თვის განმავლობაში. სამწუხაროდ, დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა ბოლშევიკების თავდასხმის შედეგად დაეცა. აზერბაიჯანი იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. გავიდა წლები... ხალხის ოცნება დამოუკიდებლობაზე არ ჩამქრალა. დამოუკიდებლობის იდეამ ისევ აამოძრავა აზერბაიჯანელი ხალხი, რომელიც თავისუფლებისათვის საბრძოლველად აღდგა. და,ბოლოს, საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად, 1991 წელს აზერბაიჯანმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ ჩვენი ხალხი ყოველწლიურად აღნიშნავს 28 მაისს, როგორც რესპუბლიკის დღეს.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი**

*მუსიკა უზეირ ჰაჯიბეილისა,*

*სიტყვები აჰმედ ჯავადისა.*

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი წარმოადგენს აზერბაიჯანის სახელმწიფოს, მისი დამოუკიდებლობისა და ერთიანობის სიმბოლოს. ჰიმნის მიმართ ღრმა პატივისცემის გამოხატვა ყოველი მოქალაქის წმინდა ვალია.

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია, ფეხზე მდგარმა მოისმინოს და შეასრულოს სახელმწიფო ჰიმნი.

*შევისწავლოთ ახალი სიმღერა*

**MÜBARƏK (გილოცავთ)**

*მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა,*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი.*

I

Azərbaycan, bu bayram
Sənə necə yaraşır.
Nəğmə deyir Kür, Araz,
Göy Xəzər coşub-daşır.

*მისამღერი:*

Gülür ellərin,
Gülür çöllərin,
Ağ günlərintək,
Sənin vüqarlı,
Nurlu, baharlı
Yaşın mübarək!

II

Oğlun, qızın hünərdən
Çələnglər hörür bu gün,
Dostları Bakımızın
Alnından öpür bu gün.



ეს სიმღერა მხიარული, ხალისიანი ხასიათისაა, ჩქარი ტემპის, ტაქტის ზომა ოთხი მეოთხედი, უნდა შესრულდეს ორ ხმაში.

სიმღერა დაწერილია ტონალობა მი-მაჟორში. ამ გამაში 4 დიეზის ნიშანია: ფა-დიეზი, დო-დიეზი, სოლ-დიეზი, რე-დიეზი.

ტონალობა მი-მაჟორი:

**მი-მაჟორი**



## კითხვები

1. რამდენჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა აზერბაიჯანმა მეოცე საუკუნეში?
2. ვინ არიან ავტორები აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნისა?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Мцбаряк» („გილოცავთ“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია აზერბაიჯანის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

## თემა 31

### განვლილი თემების განმეორება

*ფოტოსურათების მიხედვით გამოიცანი კომპოზიტორების სახელები და გვარები*











*სურათების მიხედვით გამოიცანი მუსიკალური ნაწარმოებების სახელწოდებები და მათი კომპოზიტორები*











## მომზადება საკლასო კონცერტისათვის

### ტ ე ს ტ ე ბ ი

*1. ვინ დაწერა პოლონეზი „გამოთხოვება სამშობლოსთან“?*

ა) ფ. შოპენმა ბ) ფ. შუბერტმა გ) მ. ოგინსკიმ

*2. ვინ არის ოპერა „კარმენის“ ავტორი?*

ა) ფ. შუბერტი ბ) ლ. ვ. ბეთჰოვენი გ) ჟ. ბიზე

*3. ვინ დაწერა სიმღერა „წმინდა ომი“?*

ა) ა. ალექსანდროვმა ბ) თ. ყულიევმა მ. მუსორგსკიმ

*4. ვინ არიან ავტორები ოპერისა „ვეტენი“ („სამშობლო“)?*

ა) ჯ. გაჯიევი, ყ. ყარაევი

ბ) ჯ. გაჯიევი, რ. მირიშლი

გ) ჯ. გაჯიევი, ფ. ამიროვი

*5. ვინ დაწერა ოპერეტა „არშინ მალ ალან“?*

ა) ს. რუსტამოვმა ბ) ფ. ამიროვმა გ) უ. ჰაჯიბეილიმ

*6. ვინ არის ავტორი ბალეტისა „შავტუხა“?*

ა) ფ. ამიროვი ბ) ყ. ყარაევი გ) ა. აბასოვი

*7. ვინ არის ავტორი ბალეტისა „ლეგენდა სიყვარულზე“?*

ა) ა. აბასოვი ბ) ა. მელიქოვი გ) თ. ყულიევი

## სასიმღერო რეპერტუარი

### აზერბაიჯანი

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი.*




### დაე, უფრო ომახიანად გაისმას ჩვენი სიმღერა
### (Qoy ucalsın nəğməmiz)

*მუსიკა რამიზ მირიშლისა,*
*სიტყვები ფიქრათკოჯასი.*






## მევენახეები
## (Üzümçülər)

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვასი,*
*სიტყვები ჯავად ჯავადლისა.*



## სუმგაიტი

*მუსიკა საიდ რუსტამოვისა,სიტყვები ნასიბ ჯაფაროღლუსი.*




## სიყმაწვილის სიმღერა
## (Gənclik mahnısı)

*მუსიკა ყარა ყარაევის, სიტყვები ევგენი დოლმატოვსკისა.*



## იმღერე-იცეკვე
## (Çal-oyna)
*(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა-ცეკვა)*




## იავნანა
## (Layla)

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა,*
*სიტყვები ნაბი ხაზრისა.*






## აკვანთან
## (Beşik başında)
*(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)*



## ზამთრის სიმღერა
## (Qış mahnısı)

*მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა,*
*სიტყვებითოფიკ მუთალიბოვისა.*




## გთხოვთ, გვეწვიეთ აზერბაიჯანში
## (Azərbaycana gəlsin)

*მუსიკა თოფიკ ყულიევისა,*
*სიტყვები სულეიმან რუსტამისა.*






## ღირსების მარში
## (Qeyrət marşı)

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები გადირფაშა ელსევერისა.*

*მარშის ტემპში*



## მშობლიური ენა
## (Şirin dil)

*მუსიკა ემინ საბიტოღლუსი,*
*კერკიუკული ბაიათების სიტყვებზე.*



## ქალწულის კოშკი
## (Qız qalası)

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები სევინჯ ნურუგიზისა.*




## აზერბაიჯანი

*მუსიკა ემინ საბიტოღლუსი,*
*სიტყვები ბახტიარ ვაგაბზადესი*






## ცეცხლთა ქვეყანა
## (Odlar ölkəsi)

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა,*
*სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა.*



## საბრძოლო ფიცი
## (Hərbi and)

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა,*
*სიტყვები სეირან შიხალიევისა.*

*მარშის ტემპში*




## დამოუკიდებლობის დღესასწაული – მაისი!
## (İstiqlal bayramı — may!)

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები აჰმედ ჯავადისა.*

**Tempo di marcia**





გუნდი
S
A
Qüv - vət - li - dir qol-la-rın,
U - ğur - lu - dur
yol - la - rın,
hə - qi - qi sə - nət - ka - rın
İs - tiq - lal bay - ra - mı
May!
დასასრულისთვის
Şan - lı
Bay - ram!

## გილოცავთ
## (Mübarək)

*მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა,*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი.*



# დამატებითი რეპერტუარი საკლასო და სასკოლო კონცერტებისათვის

## ნოვრუზის დღესასწაული
## (Novruz bayramı)

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები საბირ მუსტაფასი.*




I
Səmənini gətirin
Miz üstünə qoyun, hey!
Kos-kosanı başlayaq,
Gözəldir bu oyun, hey!

*მისამღერი:*
Yaz coşdurur adamı,
Gəlir Novruz bayramı!

II
Bir nimçəyə düzülsün
Yeddi löyün şirniyyat:
Qoğal, qovut, paxlava,
İydə, badam, qoz, nabat.

III
Tonqal çataq həyətdə,
Könül açsın məşəllər.
Öz bəxtını sınasın,
Türfə, qönçə gözəllər.

## სადღესასწაულო სიმღერა
## (Şənlik mahnısı)

*მუსიკა მუსა მირზოევისა,*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი.*




I
Qarmon səsi çağırır,
Bu gün bizi şənliyə.
Təzə mahnı oxuyaq,
Olsun sizə hədiyyə.

*მისამღერი:*
Bu gün əziz bayramdır,
Uşaqların bayramı.
Bu gün əziz bayramdır,
Qoy şənlik etsin hamı.

II
Süfrəmizdə qoy olsun,
Təbiətin neməti.
Min illərlə yaşasın,
Azərbaycan milləti!

III
Gəlin olaq mehriban,
Dostlarımız çox olsun.
Yeni ildə hər evdə,
Çörəyimiz bol olsun.

## საყვარელი მასწავლებელი
## (Sevimli müəllim)

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები ალემდარ გულუზადესი.*




I

Sən istək, sən həvəs,
Qəlbində isti səs,
Amalı müqəddəs,
Sevimli müəllim,
Mehriban müəlllim, müəllim.

II

Biz sənə bar-bəhər
Saçların ağ səhər.
Hər sözü bir əsgər,
Sevimli müəllim,
Mehriban müəllim, müəllim.

III

Ey arzum, diləyim,
Döyünən ürəyim,
Qarşında baş əyim,
Sevimli müəllim,
Mehriban müəllim, müəllim.

## მასწავლებელი
## (Müəllim)

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვისა,*
*სიტყვები ჰუსეინ აბასზადესი.*




I

Əldə qələm tutmağı,
Bizə sən öyrətmisən.
Möhkəm addım atmağı
Bizə sən öyrətmisən.

*მისამღერი:*
Heç zaman unutmarıq,
Böyük əməyini biz.
Ey mehriban dostumuz,
Əziz müəllimimiz.

II

Gəlib doğma məktəbə,
Biz səndən dərs alırıq.
Alışırıq zəhmətə,
Boy atıb, ucalırıq.

## მოსწავლის სიმღერა-მარში
## (Məktəblinin yürüş mahnısı)

*მუსიკა ჯანგირ ჯანგიროვისა,*
*სიტყვები ანვერ ალიბეილისა.*




I

Yollarda açdıq biz səhəri,
Min kəndi gəzdik, min şəhəri,
Sancdıq dağlara şanlı zəfər
bayrağı,
Hər yerdən gözəldir bizim Vətən
torpağı.

*მისამღერო:*

Səfər vaxtı geniş düzlər, göy
təpələr,
Coşqun dəniz keçdik.
Keçdi şən dəstəmiz,
Yorulmadıq əsla biz.
Yorulmadı qolumuz,
İrəlidir yolumuz.

## ყარაბაღი

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები ალემდერ გულუზადესი.*




I

Çayım səndə, dağım səndə,
Yağış olum yağım səndə,
Göy üzündə şimşəyimsən,
Yer üzündə ürəyimsən,
Gərəyimsən, kürəyimsən,
Ay Qarabağ, bağım səndə.

*მისამღერი:*

Mən yanan odlara,
Yanma, Qarabağ!
Sınanır Qarabağ,
Sınma, Qarabağ!

## სიმღერა ბაქოზე
## (Bakı haqqında mahnı)

*მუსიკა ჯავანშირ ყულიევისა,*
*სიტყვები ფეირუზ მამედოვისა.*




I

Nə xoşbəxtəm, doğulmuşam
Mən Bakının qucağında.

*მისამღერი:*

Azad quştək boy atmışam,
Şən Bakının qucağında.

II

Azərbaycan Vətənimdir,
Doğma Bakı şan-şöhrətim.
Bu torpaqdan güc almışdır,
Mənim dünya məhəbbətim.

III

Ulduzların gözlərilə,
Gülümsəyir şəhər mənə.
Öz mehriban anam kimi,
Layla çalır Xəzər mənə.

IV

Vüqarımdır Qız qalası,
Bərkimişəm küləklərdə.
Arzum budur bu nəğməmlə,
Yuva qurum ürəklərdə.

## გაზაფხულის სიმღერა
## (Bahar nəğməsi)

*მუსიკა და სიტყვები უზეირ*
*ჰაჯიბეილისა*






Qanad çal çəmənlərdə, süz, bahar!
Ellərə gəl, incilər düz, bahar!
Bülbül öpərək gülləri, yar desin,
Gül qızartsın busədən üz, bahar.

Gəz, dolan gülüstanı yel kimi,
Danışdır könülləri tel kimi.
Sevinc ver, sevinc gətir hər elə.
Sevinsin aləm bu şən el kimi!

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი

*მუსიკა უზეირ ჰაჯიბეილისა,*
*სიტყვები აჰმედ ჯავადისა.*

*(შემდგენელი ბავშვთა გუნდისათვის – რაშიდ შაფაგი)*






Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

## ოქროს
## (Qızıldan)

*აზერ დადაშოვის მუსიკა*
*სიტყვები მუსა იაგუბისა*






| I | II |
|---|---|
| Bizimdir bu şənlik, büsat, | Göyərçinim, qanad saxla, |
| Bu nəğmədə gülür həyat. | Dəstəmizə könül bağla. |
| Ana Vətən, doğma ocaq, | Oxu bizimlə şən nəğmə, |
| Bizik sənə qoşa qanad. | Qoy yayılsın dalğa-dalğa. |
| Dəstə-dəstə çıxdıq yola, | Gələcəyə etdik səfər, |
| Dostlar dedi: — Uğur ola. | Dolaylarda güldü səhər. |
| Yolumuza çıraq tutub, | Bizimçin də yer saxlayın, |
| Bu göy meşə, yaşıl tala. | Ay zirvələr, ay zirvələr. |

*მისამღერი:*
Bayrağımız qızıl dan,
İşıqları saçılan,
Ömrümüzə açılan,
Üfüqə salam,
Hey, üfüqə salam!
Göyərçinim! Hey!

## ძვირფასი კლასის დამრიგებელი
## (Əziz sinif rəhbəri)

*მუსიკა ოქტაი ზულფუგაროვისა,*
*სიტყვები ჰუსეინ აბასზადესი.*




I

Ey mehriban müəllim,
Əziz sinif rəhbəri,
Sevirsən öz balantək
Sən bütün şagirdləri.

*მისამღერი:*
Məsləhətin qiymətli,
Əziz sinif rəhbəri.
Xoş rəftarlı, hörmətli,
Əziz sinif rəhbəri.

II

Hər sözündə məna var,
Söhbətlərində işıq.
Xoş rəftarlı, hörmətli
Əziz sinif rəhbəri.

III

Biz dərsdən «5» alanda
Gözün fərəhlə dolur.
Tənbəl şagird görəndə,
Ürəyin məyus olur.

## ჩვენ სამშობლოს ჯარისკაცები ვართ
## (Biz Vətən əsgəriyik)

*მუსიკა ელნარი დადაშევასი,*
*სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა.*




I

Balaca əsgərik biz,
Hünər göstəririk biz!
Vətənin keşiyində
Ayıq dayanırıq biz!

*მისამღერი:*
Ehey, çölləri oyat,
Öyrən hər bir oyunu!
Qoru, qoru Vətəninin
Gül-çiçəkli qoynunu!

II

Geydik əsgər paltarı
Geydik əsgər çəkməsi.
Sülhdür bizim nəğməmiz,
Hər sözü, hər kəlməsi!

III

Sahibiyik bu yurdun,
Bu dənizin, bu çayın,
Bu Günəşin, bu Ayın,
Ellər bizə arxayın!

## ჩვენ მშვიდობის მტრედები ვართ!
## (Sülh göyərçiniyik biz!)

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა,*
*სიტყვები ზაჰიდ ხალილისა.*




**გუნდი:** Göyərçinik biz,
Sülh quşuyuq biz.
**სოლო:** Gülsün gül kimi,
**გუნდი:** Gül kimi,
**სოლო:** Üzü ellərin,
**გუნდი:** Ellərin.
Gülsün hər oğlu,
Qızı ellərin!

**გუნდი:** Göyərçinik biz,
Sülh quşuyuq biz.
**სოლო:** Hərbin dadını,
**გუნდი:** Dadını,
**სოლო:** Ellər görməsin,
**გუნდი:** Görməsin,
Hərbin odunu
Çöllər görməsin.

## ლიტერატურა

1. **F.Bədəlbəyli, O.Rəcəbov, G.Abdullazadə, F.Hidayətova.** Azərbaycan bəstəkarlarının uşaq mahnıları antologiyası. I — VI cildlər. Bakı, «Mütərcim», 2008-2013.
2. **F.Bədəlbəyli, O.Rəcəbov, Ş.Həsənova, G.Abdullazadə.** Azərbaycan bəstəkarlarının həyat və yaradıcılığı. I cild. Bakı, «Mütərcim», 2012.
3. **F.Əliyeva, N.Kazımov, T.Babayeva.** VII sinif «Musiqi» dərsliyi. Bakı, «Kövsər», 2007.
4. **F.Bədəlbəyli, O.Rəcəbov, G.Abdullazadə.** «Azərbaycan xalq rəqsləri». Bakı, «Mütərcim», 2011.
5. **O.Rəcəbov, F.Hidayətova.** Ümumtəhsil məktəblərində musiqi tədrisi metodikası. Bakı, «Mütərcim», 2013.
6. **O.Rəcəbov.** I—VIII siniflər üçün «Musiqi» proqramları. Bakı, «Kövsər» nəşriyyatı, 2006.
7. **O.Rəcəbov, S.Rzayeva.** V—IX siniflərdə «Musiqi kurikulumu». Bakı, «Mütərcim», 2013.
8. **O.Rəcəbov.** «Azərbaycan xalq musiqisi və müəllim hazırlığı». Bakı, «Mütərcim», 2012.
9. Под редакцией **Д.В. Кабалевского.** Программа по «Музыке». Москва. «Просвещение», 1988 г.
10. Ümumtəhsil məktəblərinin fənn kurikulumları. Bakı, «Şərq-Qərb», 2012.

**MUSİQİ 7**
*Ümumtəhsil məktəblərinin 7-ci sinfi üçün*
*Musiqi fənni üzrə*
**DƏRSLİK**
***(Gürcü dilində)***

**Tərtibçi heyət:**

| | |
|---|---|
| Müəlliflər | ***Oqtay Məmmədağa oğlu Rəcəbov***<br>***Nazim Kazım oğlu Kazımov***<br>***Ofeliya Safa qızı İmanova*** |
| Tərcümə | **İNTELEQTİ** |
| Redaktor | ***Sevinc Nuruqızı*** |
| Bədii və texniki redaktor | ***Abdulla Ələkbərov*** |
| Üz qabığı | ***Təhmasib Mehdiyev*** |
| Dizaynerlər | ***Mələk Şimşek, Aqil Əmrahov*** |
| Rəssam | ***Gündüz Ağayev*** |

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin*
*24.07.2017-ci il tarixli 842№-li*
*əmri ilə təsdiq edilmişdir.*

**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi — 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 5,77. Fiziki çap vərəqi 6,0.
Formatı 70x100 1/16. Səhifə sayı 96. Ofset kağızı.
Ofset çapı. Tiraj 200. Pulsuz. Bakı—2017.

**«Təhsil Nəşriyyat-Poliqrafiya» MMC**
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 149

PULSUZ